საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვეული სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიანურებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 15 მარტი. 2022 წ. №38 (9376) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

სალომე ზურაბიშვილი:

დღეს ორივე მხარე, პოზიციაც და ოპოზიციაც სცოდავს!

ვინმე დაიჯერებს რომ ასეთ მძიმე და საყურადღებო ვითარებაში არცერთხელ არ შეკრებილა უსაფრთხოების საბჭო, არცერთხელ არ ყოფილა ერთობლივად განხილული სამხედრო საფრთხეები უმაღლესი მთავარსარდლის დასწრებით! სასწრაფოდ გამოსასწორებელია ეს მანკიერი ფორმები!

2-3

ოპოზიცია სცოდავს, როცა ბრიუსელში, კიევში თუ ამერიკაში აქვს მცდელობები, რომ საქართველოს სახელი და სახე გააშავოს და ქვეყანა ისე წარმოაჩინოს, რომ ვითომ-ცდა შიში ვამჯობინეთ დირსებას! თითქოს დირსი არ ვართ არც ევროკავშირში გაწევრიანების, არც ნატოსთან და ამერიკასთან პარტნიორობის. ან კიდევ უარესი, როცა ამტკიცებს, ვითომცდა მთავრობამ – და მაშასადამე ქვეყანამ – შეცვალა პროდასავლური კურსი! ეს ხომ ქვეყნის და შენი ხალხის შეურაცხყოფაა, როცა ვაშინგტონში შენს ქვეყანას ესოდენ ბრალს უყენებ და შენივე ქვეყანა შენგან მასპინძლის დასაცავი ხდება!!!

რა რესურსის თავმოყრა შეუძლია რუსეთს უკრაინასთან ომში?! 8

ვიქტორ შენდეროვიჩი: პუტინის სიკვდილი უამრავი ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენს! 5

ქართულ ბანკებს უფლება აქვთ, რუსეთის და ბელარუსის მოქალაქეებს ანგარიშის გახსნაზე დაუსაბუთებელი უარი უთხრან 7

რამდენად არის დამოკიდებული მსოფლიო რუსულ ნავთობსა და გაზზე? 4

რუსეთში უკვე ჩავიდა 400 სირიელი მებრძოლი...

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენშტაბი აცხადებს, რომ ოკუპანტებმა რუსეთში უკვე ჩაიყვანეს 400 სირიელი მებრძოლი. იუწყება უკრაინული მედია. გენშტაბის ინფორმაციით, მიმდინარეობს მებრძოლთა რაზმების ფორმირება, რომლებიც მზად არიან ჯილდოს სანაცვლოდ შეასრულონ რუსი მეთაურების დანაშაულებრივი ბრძანებები.

სირიის ტერიტორიაზე გახსნილია მებრძოლების გადაბირების ცენტრები, სადაც ბოლო დღეებში ათასზე მეტი ადამიანი უკვე გადაიბირეს, 400-მდე მებრძოლი კი უკვე რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება. უკრაინის საზღვრის მახლობლად როსტოვისა და გომელის ოლქებში გაშლილია ბანაკები მებრძოლების მოსამზადებლად.

„ანარქისტები“ უკრაინას სოლიდარობას უცხადებენ

ლონდონის ელიტურ რაიონში – ბელგრეივში აქტივისტებმა დაიკავეს რუსი ოლიგარქის ოლეგ დერიპასკას 25 მლნ ფუნტის ღირებულების სასახლე.

აქტივისტები სახლში გვიან ღამით შეიჭრნენ, გამოფინეს უკრაინის დროშები და ტრანსპარანტები წარწერებით: **„ეს უძრავი ქონება გათავისუფლებულია და „პუტინო, იდი ნა ხუი“.**

განცხადებაში აქტივისტებმა, რომლებიც საკუთარ თავს ანარქისტებად მოიხსენიებდნენ, თქვეს: **„ამ სასახლის ოკუპირებით ჩვენ გვინდა სოლიდარობა გამოვხატოთ უკრაინის ხალხის მიმართ, მაგრამ ასევე რუსეთის ხალხის მიმართ, რომლებიც არასოდეს დათანხმდებიან ამ სიგიჟეს“.**

სალომე ზურაბიშვილი:

დღეს ორივე მხარე, პოზიციაც და ოპოზიციაც სცოდავს!

დღეს ჩვენ თვალწინ შემზარავი კადრები იშლება. რუსეთის მიერ დაბომბილი საავადმყოფოები, საბავშვო ონკოლოგიური საავადმყოფო, ბაგა-ბაღები და სკოლები, თუნდაც ერთმორწმუნე ერის ეკლესიები. მოხუცების და ორსულების ევაკუაცია. უკრაინელი მეომრების, თუ რიგითი მოქალაქეების შეუპოვარი ბრძოლა საკუთარი მიწის, სამშობლოს დასაცავად და დამოუკიდებლობის გადასარჩენად. რუსულ აგრესიასთან ასეთი თავგანწირული ბრძოლა ჩვენში მხოლოდ პატივისცემას, სოლიდარობასა და გვერდში დგომას იწვევს.

საქართველო იდგა და დგას უკრაინის და უკრაინელების გვერდით!

მინდა გთხოვოთ ფეხზე ადგომით დავუდასტუროთ ჩვენი სოლიდარობა!

გთხოვთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ თავდადებულ გმირებს!

მადლობა მინდა მოვახსენო ჩვენთან მოსულ უკრაინის წარმომადგენელს, ბატონ ანდრია კასიანოვს და მასთან ერთად ყველას, ვინც დღეს კიევში, ოდესაში თუ მარიუპოლში ჩვენს თავისუფლებას და ჩვენს ევროპულ მომავალს იცავს.

მინდა იცოდეთ თქვენ, რომ აქ გამოვხატავთ სრულიად საქართველოს ერთიან სულისკვეთებას. აქ გამოვხატავთ, ყველა აქ შეკრებილნი, სახელმწიფოს და მისი ყველა ინსტიტუტის, ყველა პოლიტიკური ძალის და რიგითი მოქალაქეების მხარდაჭერას. ასევე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დღეს აქ, ჩვენთან ერთად, ეკლესიაა წარმოდგენილი და ჩვენ ყველა ერთად სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ უკრაინას და უკრაინელებს!

დღეს ამ ტრაგედიის შემყურეთაგან, ვინც ყველაზე კარგად აცნობიერებს, რას ნიშნავს რუსული საუკუნოვანი იმპერიალიზმი, ჩვენ, ქართველები ვართ! ქართველებს ყველაზე კარგად გვესმის და ვიზიარებთ, იმას თუ რას განიცდის უკრაინელი ერი!

უკრაინამ და საქართველომ ერთი გზა გავიარეთ: რუსული იმპერიისგან გათავისუფლება, დამოუკიდებლობის მოპოვება, საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობა – თავისი აჯანყებებით, რეპრესიებითა და ჰოლოდომორით, დამოუკიდებლობის აღდგენა, რუსეთის მიერ პროვოცირებული სეპარატისტული კონფლიქტები, კიდევ ომი და კიდევ ოკუპაცია. მიუხედავად ამისა, ხელი ვერავინ და ვერაფერმა აგვაღებინა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე. ზურგი ვერავინ და ვერაფერმა შეგვაქცევინა ჩვენ მიერ არჩეული ისტორიული ევროპული გზისათვის.

საძართველოს ისტორია, ისევე როგორც უკრაინის, სიამაყისა და თავდადების ისტორიაა. ისტორიაა განსაცდელისა და ტრაგედიების, დამპყრობლებთან შეუპოვარი, გმირული, თავგანწირული ბრძოლის მაგალითების. ასე იძმნება ერი! ძართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სასწაული მის გამძლეობაში, ძედმოუხრელობაში, გაუტეხელობაში, სიამაყეში იყო და არის! დღეს, ჩვენ უკრაინაში სწორედ ასეთ სასწაულ შემართებას ვხედავთ, რაც მჯერა, რომ მხოლოდ გამარჯვებით შეიძლება დასრულდეს.

დღეს არა მხოლოდ უკრაინას, არამედ მთელ მსოფლიოს, უმძიმესი დღეები უდგას, თუმცა უკრაინის ბრძოლა ჯერ გამარჯვებული თუ არა, უკვე წარმატებულია! წარმატებული, რამეთუ ამ მოვლენებმა მსოფლიოს თვალი გახელინა და გამოაღვიძა.

უდავოდ უკრაინის დამსახურებაა უპრეცედენტო საერთაშორისო სოლიდარობა და ამ სოლიდარობაში ერთიანობა. უდავოდ უკრაინის დამსახურებაა ევროკავშირის არნახული ერთსულოვნება და სიმტკიცე, ამერიკის და ევროპის ერთობლივი მოქმედებები. მისი დამსახურებაა, დღეს უკვე იზოლირებული და ხვალ კი, დასუსტებული რუსეთი.

დღეს ყველასთვის გარდამტეხი მომენტია და მათ შორის, საქართველოსთვის, რამეთუ დღეს ვდგავართ დიდი გამოწვევების წინაშე, რომლებიც შესაძლოა, ხვალ კიდევ უფრო მწვავე გახდეს. თუმცა ამავდროულად, როგორც სჩვევია ისტორიას, გამოწვევებთან ერთად, კრიზისებს და ომებს ახალი შესაძლებლობები მოაქვთ. ახალი გზები იხსნება. ამ ახალ გზაზე, საქართველომ თავისი ადგილი სწორედ ახლა უნდა დაიმკვიდროს. უნდა გვესმოდეს რა ხდება, გავიაზროთ და მოვემზადოთ ყველა შესაძლო შემთხვევისთვის და არა პასიურად ვისხდეთ და ველოდოთ მომავალი რას დაგვახვედრებს. ეს არის ჩვენი, ყველა აქ მჯდომის ვალდებულება ქვეყნის წინაშე! დრო აღარ ითმენს!

თუ ახალ მოვლენებს, საფრთხეებსა და ახალ შესაძლებლობლებს მზადყოფნაში არ დავხვდებით – ეს დრო აღარ დაბრუნდება!

ამიტომ ასეთ გადამწყვეტ ეტაპზე არ მესმის, და ვერ შევეგუები იმას, რომ დღეს, ამ გზგასაყარზე კინკლაობის, ქიშპობის, მტრობის, დამღუპველი დაპირისპირებისა და პოლარიზაციის დასრულების მაგივრად, თქვენ აქ შეკრებილნი ივიწყებთ იმას, რაც ასახულია ჩვენს გერბზე: „ძალა ერთობაშია“!

საზოგადოება კი თქვენზე ბევრად ფხიზელია, შეგნებული, მამაცი და რაც მთავარია, ერთიანი. დღეს ვხედავ, რომ ეროვნული თანხმობის ნიშნებმა ხალხში უკვე გაიღვიძა, თუმცა თქვენში ამას ჯერ ვერ ვხედავ. ნუთუ არ გესმით, თუ რა პასუხისმგებლობა გაკისრიათ ყველას ერთად თქვენი ხალხის წინაშე.

დღეს კი, ორივე მხარე, პოზიციაც და ოპოზიციაც სცოდავს და სცოდავს ქვეყნის წინაშე!

უმრავლესობა, თანხმობის ძიების მაგივრად, ყველას, ვინც არ ეთანხმება, ხან მოღალატედ და ხან ომის პარტიად ნათლავს. ოპოზიცია, თანხმობის ძიების მაგივრად, ხელისუფლების ნებისმიერ განცხადებას, თუ გადაწყვეტილებას უაპელაციოდ პრორუსულად აცხადებს.

ორივე მიდგომა, გარდა იმისა, რომ სრულიად მიუღებელია და საბჭოთა წარსულის მეთოდებს გვაგონებს, ქვეყნისთვის, როგორც შიგნით ასევე გარეთ, დამაზიანებელია, და გარკვეულწილად საფრთხის შემცველი. ქვეყნის შიგნით იწვევს დაყოფას, გვასუსტებს, ძალას გვაცლის, აბნევს და აფრთხობს საზოგადოებას. ქვეყნის გარეთ კი, გაუგებარს ხდის ჩვენი სახელმწიფოს მისწრაფებების მდგრადობასა და მიზანმიმართულობას.

ხელისუფლება სცოდავს, როცა ვერ ბედავს გამოხატოს ის, რასაც ჩვენი ისტორია და ღირსება გვკარნახობს. ამას გამართლება არ აქვს. სიფრთხილისა თუ შიშის ვერცერთი არგუმენტი ვერ ამართლებს იმას, რომ ღირსეულად, სიტყვით მაინც ვიდგეთ იქ, სადაც სინდისი და ქართველობა მოითხოვს!

ხელისუფლება სცოდავს, როცა ამ გარდამტეხ მომენტში, ქვეყნისთვის ისტორიული განაცხადი, ერთობლივი ხელმოწერით გამყარებული კი არ წარადგინა ევროპის წინაშე, როგორც სრული სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის ნიშანი და ეროვნული თანხმობის პირველი ნაბიჯი, არამედ არჩია თავის თავში ჩაკეტვა და ერთპიროვნულად ხელის მოწერა.

ხელისუფლება სცოდავს, როცა პარტიას ეძლევა უპირატესობა სახელმწიფო ინსტიტუტების ნაცვლად გადაწყვეტილების მიღებაში, თუ გასაჯაროებაში. როცა სახელმწიფო უწყებებს შორის მთავარი გადაწყვეტილებები არ განიხილება ერთობლივად და ინფორმაცია არ ზიარდება. ვინმე დაიჯერებს რომ ასეთ მძიმე და საყურადღებო ვითარებაში არცერთხელ არ შეკრებილა უსაფრთხოების საბჭო, არცერთხელ არ ყოფილა ერთობლივად განხილული სამხედრო საფრთხეები უმაღლესი მთავარსარდლის დასწრებით. სასწრაფოდ გამოსასწორებელია ეს მანკიერი ფორმები!

ოპოზიცია სცოდავს, როცა ბრიუსელში, კიევში თუ ამერიკაში აქვს მცდელობები, რომ საქართველოს სახელი და სახე გააშავოს და ქვეყანა ისე წარმოაჩინოს, რომ ვითომცდა შიში ვამჯობინეთ ღირსებას! თითქოს ღირსი არ ვართ არც ევროკავშირში გაწევრიანების, არც ნატოსთან და ამერიკასთან პარტნიორობის. ან კიდევ უარესი, როცა ამტკიცებს, ვითომცდა მთავრობამ - და მაშასადამე ქვეყანამ – შეცვალა პროდასავლური კურსი! ეს ხომ ქვეყნის და შენი ხალხის შეურაცხყოფაა, როცა ვაშინგტონში შენს ქვეყანას ესოდენ ბრალს უყენებ და შენივე ქვეყანა შენგან მასპინძლის დასაცავი ხდება. ასეთი პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმა, ხომ მხოლოდ მთავრობას არ აზიანებს, არამედ ქვეყანას, და მტრის საქმეს აკეთებს!

ოპოზიცია სცოდავს, როცა შეურაცხყოფას აყენებს პოლიციას და პოლიციელებს. ეს არის ინსტიტუტი, რომელსაც ქვეყნის სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია. მით უმეტეს, ამ უაღრესად დაძაბულ პერიოდში. მათ მიმართ პატივისცემა და მხარდაჭერა ყველას გვევალება და პირველ რიგში, ვინც ხალხის არჩეულია!

ოპოზიცია სცოდავს, როცა რადიკალურ ზომებზე აპელირებს და ამით ცდილობს, მთავრობის შერყევას, ანუ შექმნილი საერთაშორისო ვითარების გამოყენებით საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის მიღწევას. ამ დროს კი, ქვეყანას აყენებს ჩიხურ მდგომარეობაში და შესაძლოა, საფრთხის ქვეშ, ისე რომ ამის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არ იღებს. გაერთიანებაზე სიტყვიერად აპელირებს და რეალურად, პოლიტიკური ნიშნის მოგებას და პროვოკაციებს არ, თუ ვერ ელევა.

თუმცა ვეთანხმები ორივეს, ხელისუფლებას იმაში, რომ გარკვეული სიფრთხილეც გვჭირდება და ოპოზიციას იმაში, რომ გარკვეული გამბედაობაც შეგვიძლია.

ამიტომ, მე არ და ვერ შევალ აქ, მთავრობის ცალკეული განცხადებებისა, თუ მოქმედებების შეფასებაში, რომლებიც უკრაინის ომს და ჩვენს უსაფრთხოებას ეხება. ასეთი განხილვები დახურულ, ოღონდ ინკლუზიურ ფორმატში, ყველას ჩართულობით, მოსმენით და აზრთა გაცვლით უნდა ხდებოდეს და შემდეგ ყველა უნდა იღებდეს მიღებულ გადაწყვეტილებზე ერთობლივ პასუხისმგებლობას. ამ ფორმატის შექმნა კი, ხელისუფლებას ევალება.

ამიტომ, მე არ და ვერ შევალ აქ იმ ცალკეული პიროვნებების ქმედებების გარჩევაში, რომლებიც მიზანმიმართულად მანიპულირებენ და ცდილობენ ამ უმძიმეს დროს ორ მეგობარ ქვეყანას შორის დათესონ გაუგებრობა, წყენა, უთანხმოება და გააჩინონ რაიმე ბზარი. ყველასთვის გასაგებია და ამას ჩვენი პარტნიორებიც კარგად ხვდებიან, რომ უკრაინასა და საქართველოს შორის ნებისმიერი უთანხმოება რუსეთისთვის და მხოლოდ რუსეთისთვისაა ხელსაყრელი.

მე არ და ვერ შევალ, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ეს, სააკაშვილის შეწყალების თემის ხელახლა განხილვაში, რამეთუ პასუხი, ერთხელ უკვე გაცემულია. უკრაინის ომით ამ საკითხის გაცოცხლება კი, მხოლოდ შიდა პოლარიზაციის გაღვივების გამომწვევია.

კიდევ ერთხელ, ჩვენსა და უკრაინას შორის რაიმე გაუგებრობის შემოტანის მცდელობაც კი მიუღებელია. მე ამას არ დავუშვებ! ამიტომ, როგორც შარშან, 9 აპრილს, ჩემი საპარლამენტო მოხსენებისას, საქართველოს მთავრობას მივმართე, დაებრუნებინა ჩვენი ელჩი უკრაინაში ასევე, დღეს აქედან, ამ ტრიბუნიდან მივმართავ, ჩემს კოლეგას და მეგობარს, უკრაინის პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენსკის და ვთხოვ, დააბრუნოს ელჩი, რათა ჩვენ ორ ერს შორის, ამ უმძიმეს წუთებში, კავშირი სრულიად გამყარდეს და იყოს უფრო მჭიდრო და უდრეკი.

ამ ურთულესს პერიოდში, დღეს მაინც გავახილოთ თვალი და შევიგნოთ თუ რა ხდება ჩვენს თავს. ყველა ერთად აზრზე მოვიდეთ, ჩავდგეთ ამ ახალ კალაპოტში და ქვეყანას ვაჩვენოთ გეზი და გზა!

გამოვასწოროთ ის, რაც წინსვლის და წარმატების გზაზე გვაფერხებს. ერთიანობა ჩვენი ერთადერთი გამოსავალია! ეს ერთიანობა იწყება პრეზიდენტით, რამეთუ კონსტიტუციით ის ერთიანობის გარანტია.

ამიტომ აბსურდია, სხვა რომ არა ვთქვა რა, როცა პრეზიდენტს ბრალს სდებ საზოგადოების დაყოფაში, მაშინ, როცა ის, რუსთაველზე გამოჩნდა იმისათვის და იმის გამო, რომ სრულიად საქართველო წარმოედგინა! წარმოედგინა ყველა, ვინც პოლიტიკური პლაკატების გამო არ მივიდა და ვინც უბრალოდ ვერ მივიდა. ამავდროულად, პრეზიდენტი, რუსთაველზე მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტის მასპინძლად წარდგა, როგორც ამას ქართული ზრდილობა მოითხოვს! ეს დაყოფა კი არაა, ეს ეროვნული თანხმობის პირველი გამოხატულებაა! ვისაც ეს არ ესმის, ერის ხმაც არ ესმის! პოლიტიკოსებმა თუ ვერა, საზოგადოებამ ეს ყველაფერი მშვენივრად გაიგო.

და დროა ყველამ გაიგოს, რომ პრეზიდენტი არც ერთი პოლიტიკური ძალის კუთვნილება არაა და არც მეორეს კუთვნილება გახდება. ის ასრულებს მხოლოდ და მხოლოდ ინაუგურაციაზე დადებულ პირობას: „კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით ვიღებ პასუხისმგებლობას, ვიყო ყველას პრეზიდენტი, ყველა საქართველოს მოქალაქის პრეზიდენტი“.

პრეზიდენტის ინსტიტუტს მხოლოდ პატივისცემა არ ჰყოფნის, მასთან თანამშრომლობა აუცილებელია, მითუმეტეს ამ ურთულეს პერიოდში. ომი უკრაინაში, ევროკავშირის ახალი მიდგომები, საძართველოს ადგილი ამ ცვლილებების ფონზე, საფრთხეები და მზადყოფნა... ეს ის თემებია, რომლებიც ნებისმიერ ძვეყანაში განხილვის და მსჯელობის საგანი იძნებოდა და უნდა იყოს, არა მხოლოდ მთავრობის წიაღში, არამედ მთავრობასა და პრეზიდენტს შორის, პარლამენტში უმრავლესობასა და სხვადასხვა ოპოზიციას შორის.

ამიტომ ორი კვირის წინ, ხელი მოვაწერე პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევას, რომელსაც უკრაინის საკითხი უნდა განეხილა. ამიტომ მოვითხოვე უსაფრთხოების საბჭოს გაფართოებულ ფორმატში ჩატარება.

ამიტომ მივმართე პარლამენტს, რათა ჩემი ევროპიდან დაბრუნებისთანავე, 5 მარტს დაენიშნა ჩემი გამოსვლა. არცერთი მოწოდება გაზიარებული არ იქნა, არ ჩანიშნულა არც რიგგარეშე სხდომა, არც გაფართოებული უსაფრთხოების საბჭო, დაბოლოს, წლიური გამოსვლისათვის მოთხოვნილი თარიღიც არ იქნა დაკმაყოფილებული.

ამ დროს გაუგებარია, როცა საჭიროება ყველაზე დიდია და დრო არ ითმენს, პრეზიდენტის საერთაშორისო საქმიანობის მიმართ დაწესებული შეზღუდვები.

2022 წლის 26 თებერვალს წერილობით მეთქვა უარი პარიზში, ბრიუსელში, ბერლინსა და ვარშავაში სამუშაო ვიზიტების გამართვაზე. არსებული ვითარების გათვალისწინებით გავაუქმე ყველა ოფიციალური ფორმატი. ასეთ დროს საჭიროდ მივიჩნიე ჩემი პირადი კონტაქტების გამოყენება და სამუშაო ვიზიტების პირად შეხვედრებად გადაქცევა. მიმაჩნია, რომ ეს მიდგომა და ასეთი შეზღუდვები, ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც ესოდენ რთულ რეგიონში იმყოფება, დამაზიანებელია. შეზღუდვების დრო კი არა, პირიქით, ვისაც რა შეგვიძლია, საერთაშორისო დონეზე, მაქსიმალურად უნდა ვიყოთ ჩართულნი, მოსვენებას არ უნდა ვაძლევდეთ ჩვენს პარტნიორებს! მე კი მგონია, რომ ჩემი ორმოცწლიანი გამოცდილება დიპლომატიისა და სტრატეგიულ საკითხებში, და ამ პერიოდში შეძენილი პირადი კონტაქტები ამ ქვეყნისთვის მაქსიმალურად გამოსაყენებელია, ვიდრე დასაკარგი.

დღეს წინ გვიდგას ორი საკითხი, რომლებიც ერთად მოქმედებას გვაიძულებენ: ეს არის, ახლად დასმული ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი და უკრაინის მხარდაჭერის და მის ირგვლივ შექმნილი პრობლემატიკა.

ჩემმა ევროპაში ვიზიტმა დამარწმუნა, რომ არსებობს ევროკავშირში გაწევრების ახალი, რეალური და ნამდვილი შანსი, რეალური მზადყოფნა ჩვენი პარტნიორების მხრიდან. ამ მოცემულობაში კი, აუცილებელი იყო და მაქსიმალურად ვეცადე, პირადი შეხვედრებით, თუ საერთაშორისო მედიაში გამოსვლებით გამემყარებინა საქართველოს კუთვნილი ადგილი ამ პროცესებში, რათა არ გაჩენილიყო იმის ცდუნება, რომ საქართველო ან დაევიწყებინათ, ან სხვა ჭრილში განეხილათ, ვიდრე უკრაინა ან მოლდოვა.

ახლა ყველა მხრიდან ისმის: რა გავაკეთოთ? როგორ გავზარდოთ ჩვენი შანსები? როდის და როგორ?

გიპასუხებთ : ერთიანობა! ერთიანობა და ერთიანობა!

არანაირი დაყოფა და ცალ-ცალკე სირბილი ჩვენს პარტნიორებთან! საჭიროა ერთიანი შეთანხმებული გეგმის მომზადება და წარდგენა, რომელიც შემდეგ არ დაეძვემდებარება ანულირებას! პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მთავრობა და პარლამენტი, ყველა პოლიტიკური ძალა, მედია, არასამთავრობოები, რიგითი მოქალაქეები, ყველა ერთი გეგმის ირგვლივ და ერთი მიზნით უნდა გავერთიანდეთ და ვმოქმედებდეთ. ვმუშაობდეთ იმ რეფორმების პაკეტზე, რომლის შესრულება აუცილებელი იქნება თუ სერიოზულად ვხედავთ ჩვენ მომავალს ევროპაში. ეს იქნება ეროვნული თანხმობის ნამდვილი გამოხატულება, რომლის გარეშეც, აქამდე ევროკავშირში არცერთი ქვეყანა გაწევრიანებულა.

ასევე, უკრაინის ომის მიმართ ჩვენი მიდგომა სრულიად კონსოლიდირებული უნდა იყოს, არ შეიძლება ვინმეს, მოყვასსა თუ მტერს, ეჭვი გაუჩნდეს, რომ ჩვენ ესოდენ ეგზისტენციალური ყოფნა არ ყოფნის საკითხზე ვერ ვთანხმდებით. მე დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოება ბევრად საღად აზროვნებს და მისი კონსოლიდაცია შესაძლებელია. ნათელია, რომ ქვეყანა, რომელიც ისტორიულად დამოუკიდებლობის დაცვის და უთანასწორო ომების სამაგალითო მემკვიდრეა, მორალურად უკრაინის მხარეს დგას. ასევე, ნათელია, როგორც ამერიკის სახელმწიფო უწყების წარმომადგენელმა თავად ახსნა, რომ არ შეიძლება ვინმეს არ ესმოდეს რა განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება ქვეყანა, რომლის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია და საოკუპაციო ხაზი დედაქალაქიდან 40 კმ-ში გადის.

ჩვენი გზა ხომ ერთია: პრინციპული, თუმცა გონივრული, არც კონფრონტაციისკენ პროვოცირება, არც წინსწრებით დათმობის და ზედმეტი სიფრთხილის ბუნდოვანი პოლიტიკა. თუკი, ეს ხაზი გახდება ჩვენი გამაერთიანებელი, ადვილი იქნება ამ ჭრილში განვიხილოთ ყველა სენსიტიური საკითხი, სანქციები თუ სხვა. ერთი მხრივ, აუცილებელია სიფრთხილე, გამომდინარე ოკუპაციიდან, რეგიონული გამოწვევებიდან და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან. მეორე მხრივ კი, მოითხოვს მოვიქცეთ, უკრაინის მეგობრისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წევრისთვის შესაფერისად. სენსიტიური საკითხია ქვეყანაში რუსეთიდან მოქალაქეების შემოსვლა, რომელიც არ უნდა გახდეს არც ჩვენი დაყოფის, არც ქვეყნის რეპუტაციის შელახვის და არც პანიკის მიზეზი. აქაც უნდა შევინარჩუნოთ დაბალანსებული პოზიცია. ამ მხრივ, დამაზიანებელია ის ოფიციალური განცხადებები, რომლებიც საქართველოში ეთნიკური დისკრიმინაციის საფრთხეზე აპელირებენ ნაცვლად ამისა, ხელისუფლება ვალდებულია საზოგადოებას მიაწოდოს ზუსტი და დროული ინფორმაცია და დაარწმუნოს იმაში, რომ სამოქალაქო წესრიგი სათანადოდაა უზრუნველყოფილი, როგორც საზღვარზე, ასევე ქვეყანაში.

მინდა მივმართო მთავრობას და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს. ამ ურთულეს პერიოდში გამოვიყენოთ ძალისხმევა, რათა შევძლოთ ერთიანი პოზიციების ჩამოყალიბება: ერთი მხრივ, ევროკავშირში გაწევრიანების საკითხზე და მეორე მხრივ, უკრაინასთან მიმართებაში. ისე რომ, არცერთი საკითხი არ იქნას გამოყენებული ვიწრო, პოლიტიკური ინტერესებისათვის. მივესალმები გაწევრიანების შესახებ პრემიერის განცხადებას, მივესალმები რეზოლუციას, რომელიც მუშავდება პარლამენტში და ყველას მოვუწოდებ, რომ ეს რეზოლუცია ერთსულოვნად იქნას მიღებული. ასევე, გავეცანი რამდენიმე არასამთავრობოს მიერ შექმნილ განცხადებას, საზოგადოების სხვა პეტიციებს, თუ ინიციატივებს, რომლებსაც ასევე მივესალმები.

გთავაზობთ, რომ ყველა ეს წამოწყება იყოს გაერთიანებული და ყველამ ერთად მოვაწეროთ ხელი ერთ დოკუმენტს, რომელიც იქნება ჩვენი განაცხადის მხარდამჭერი და ნიშანი ამ საკითხზე ჩვენი სრული ერთიანობისა. და გადაეგზავნოს ევროკავშირს ერთ პაკეტად საქართველოს სახელით.

გთავაზობთ, რომ სასწრაფოდ შეიქმნას ევროკავშირში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა და აპარატი, რომელიც შეიძლება ოპოზიციის წიაღიდან იქნას შერჩეული. ის განახორციელებს კოორდინაციას, რათა გაწევრების მოთხოვნები მყისიერად იქნას შესრულებული, როგორც სხვა კანდიდატი ქვეყნების შემთხვევაში ხდება.

მოვუწოდებ მთავრობას, რომ ოპოზიციურ სპექტრის მონაწილეობით შეიქმნას უსაფრთხოების საბჭოს გაფართოებული, ან სხვა ფორმატი, სადაც განხილული იქნება ყველა სენსიტიური საკითხი, რომელიც მოითხოვს საიდუმლო ფორმატს. და აქვე, კიდევ ერთხელ მინდა მოგიწოდოთ, რომ ამ ყველასათვის უმძიმეს პერიოდში გამოვაცხადოთ მორატორიუმი სიძულვილის ენის გამოყენებაზე.

დაბოლოს, მივმართავ ხალხს, მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყველა იმ კერძო წამოწყებისა და სოლიდარობის ინიციატივებისთვის, რითაც უკრაინისადმი მხარდაჭერა გამოხატეთ.

ასევე, მინდა უკრაინაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების სახელით და პირადად ჩემი სახელით მადლობა მოვახსენო საელჩოს და საკონსულოების თანამშრომლებს კიევში, ოდესასა და ლვოვში, მათი პერსონალური და დაუღალავი თავდადებისათვის.

მინდა გითხრათ, რომ გველოდება რთული პერიოდი, მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარება, როგორც მთელ მსოფლიოს. ეს ჩვენი საზოგადოების შესატანი წვლილია, იმ დროს, როცა ჩვენი უკრაინელი ძმები სისხლით და ბრძოლით იცავენ ჩვენს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და ახალი მომავლის კარს გვიხსნიან.

მინდა იცოდეთ, რომ მე არაფერს დავიშურებ, რომ მთავრობასა და ოპოზიციასთან ერთად მოვნახოთ თანამშრომლობის და ერთიანობის გზები. ერთად აღვუდგეთ საფრთხეებს წინ და ერთად მოვნახოთ ყველა ახალი კარის გასაღები. თძვენც გმართებთ თძვენი წვლილი შეიტანოთ, თძვენი ვალდებულება შეასრულოთ და ეროვნული თანხმობა რეალობად აქციოთ, რამეთუ ეს არის ძვეყნის რეალური საყრდენი, რომელიც ყველაფერს გაგვაძლებინებს და ყველაფერს შეგვაძლებინებს.

დიდება უკრაინას! დიდება გმირებს! გაუმარჯოს საძართველოს!

14 მარტი, 2022 წ.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲯᲔᲠ ᲬᲔᲡᲘᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ-ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ მუშაობს საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციისა და რეგლამენტის პატივისცემის ნაწილია ასევე, ამ წესების პატივისცემა. ჯერ წესია საქმე და შემდეგ, საქმეა-საქმე, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ პლენარულ სხდომაზე, პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების დაწყებამდე განაცხადა. შალვა პაპუაშვილი უკრაინის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას გამოეხმაურა.

„იმედი მაქვს, რომ ჩვენს კონსტიტუციას და ზვიად გამსახურდიას სახელობის სხდომათა დარბაზს ნამდვილად ეკუთვნის ეს პატივისცემა“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

* * *

რუსეთის აგრესია ჩვენი მოძმე უკრაინის წინააღმდეგ სამწუხაროდ კვლავ გრძელდება. უკრაინელი ხალხი განსაკუთრებული ერთიანობით, სიმტკიცით და სიმამაცით აგრძელებს ბრძოლას თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის. ჩვენი მხარდაჭერა და სოლიდარობა, უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ ურყევია, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

„ჰუმანიტარული ვითარება მძიმეა. ორ ნახევარ მილიონზე მეტ ადამიანს მოუწია საკუთარი სამშობლოს დატოვება. თუმცა ყველაზე სულის შემძვრელი ის ადამიანური მსხვერპლი და ტრაგედიებია, რომელთა რაოდენობაც ყოველდღიურად იზრდება. დღეს აქ არ იმყოფება უკრაინის ელჩი, რომელიც გაწვეულია, თუმცა ჩვენ მოვიწვიეთ ელჩის მოვალეობის შემსრულებელი. მე მინდა პარლამენტის სახელით გადავცე ჩვენი სოლიდარობა უკრაინელი ხალხის მიმართ და სხდომის დაწყებამდე გთხოვოთ პარლამენტის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ უკრაინაში რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა სხოვნას“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ: ᲘᲡ ᲗᲣ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲠᲐᲡ ᲗᲥᲕᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲓᲐᲣᲠᲦᲕᲔᲕᲘᲐ!

ᲔᲡ ᲗᲣ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, რაც თქვა პრეზიდენტმა, გამოდის, რომ კონსტიტუცია დაურღვევია, ამაში გავერკვევით, — განაცხადა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადების კომენტირებისას, რომ მას ევროპაში ვიზიტებზე უარი უთხრეს. კითხვაზე, ტყუილში ადანაშაულებს თუ არა პრეზიდენტს, კობახიძე აცხადებს, რომ პრეზიდენტმა სავარაუდოდ, მართალი თქვა. საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, მას უარი ეთქვა პარიზში, ბრიუსელში, ბერლინსა და ვარშავაში ვიზიტებზე.

„თუმცა, საჭიროდ მივიჩნიე პირადი კონტაქტების გამოყენება და სამუშაო ვიზიტების პირად შეხვედრებად გადაქცევა — პრეზიდენტის საერთაშორისო საქმიანობის მიმართ შეზღუდვები გაუგებარია“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

ᲙᲐᲠᲚ ᲰᲐᲠᲪᲔᲚᲘ: ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲐᲖᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ გამოსვლა მიმაჩნია, რომ იყო როგორც გააზრებული, ასევე მნიშვნელოვანი და მოუთმენლად ველოდები, როგორი იქნება რეაქცია მომავალ დისკუსიაში მის გამოსვლაზე, — ამის შესახებ პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის მიერ წლიური მოხსენების წარდგინების შემდეგ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, კარლ ჰარცელმა განაცხადა.

უკრაინამ დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდა, რუსეთის წინააღმდეგ სანქციები რუსული ნავთობის ექსპორტის აკრძალვით გააფართოვონ. თავის მხრივ, რუსეთმა გააფრთხილა მსოფლიო, რომ თუ ასეთი აკრძალვა ძალაში შევა, მას შეუძლია ევროპას გაზის მიწოდება შეუწყვიტოს. რა დოზით არის დასავლეთი რუსულ გაზსა და ნავთობზე დამოკიდებული? ეს BBC-მ გაარკვია.



რამდენად არის მსოფლიო რუსულ ნავთობსა და გაზზე?

სისტრუის მფრქვეველი ოპოზიციის საყურადღებოდ

რა გადაწყვიტეს აშშ-მ და ევროპამ?

8 მარტს, აშშ-ის პრეზიდენტმა რუსეთიდან ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის იმპორტზე აკრძალვის შესახებ განაცხადა. ჯო ბაიდენის განმარტებით, ამ გადაწყვეტილებით ამერიკელებმა პუტინის მმართველობას მორიგი ძლიერი დარტყმა მიაყენეს. „ჩვენ პუტინის ომის სუბსიდირებაში მონაწილეობას არ მივიღებთ“, — დასძინა აშშ-ის პრეზიდენტმა.

აშშ-ის შემდეგ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ რუსული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტს 2022 წლის ბოლოსთვის ეტაპობრივად შეწყვეტს. საჭირო იქნება გარდამავალი პერიოდი, რათა ბაზრებსა და ბიზნესს ახალ რეალობასთან შესაგუებლად და რუსული ნავთობისთვის (რომელიც ამჟამად დიდ ბრიტანეთში მოხმარების 8%-ს შეადგენს) შემცვლელის საპოვნელად დრო მიეცეს.

რუსულ ნავთობსა და გაზზე დამოკიდებულების შემცირების გეგმა ევროკავშირმაც გამოაქვეყნა. განცხადებაში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე ამ მიმართულებით არსებული მოთხოვნა ორი მესამედით შემცირდება. იმავდროულად, პრეზიდენტმა ბაიდენმა აღიარა, რომ ევროპელი მოკავშირეები, რომლებიც რუსული გაზის მიწოდებაზე უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი, ენერგიის რუსულ წყაროებზე აკრძალვას ვერ შეუერთდებიან. იქამდე, 7 მარტს, გერმანიამ და ნიდერლანდებმა რუსეთიდან ნავთობის იმპორტის აკრძალვის წინანადებაზე უარი თქვეს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რუსულ გაზზე გერმანიის დამოკიდებულება ძალიან მაღალია: მიწოდებასთან დაკავშირებით რუსეთის ნებისმიერმა შეზღუდვამ მას შეიძლება მეტად რთული სიტუაცია შეუქმნას.

თუ დასავლეთი რუსული ნავთობის მიწოდებაზე სანქციებს დააწესებს, რუსეთი გერმანიას მთავარი გაზსადენის დახურვით დაემუქრა. უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, რუსეთიდან გერმანიისკენ გამავალი გაზსადენის — „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ სერტიფიცირება შეჩერდა, თუმცა რუსული გაზი მთელ მსოფლიოს სხვა მარშრუტებით მაინც მიეწოდება.

რა მოცულობისაა ნავთობისა და გაზის ექსპორტი

ამერიკის შეერთებული შტატებისა (1 ადგილი) და საუდის არაბეთის შემდეგ, ნავთობის მოპოვებით რუსეთი მსოფლიოში მესამე ადგილზეა. საშუალოდ, რუსეთი დღეღამეში 4,5 მილიონ ბარელზე ოდნავ მეტი ნავთობის იმპორტს ახორციელებს. ამ მოცულობის ნახევარზე მეტი ევროპაში მიდის.

აშშ რუსულ ნავთობზე ნაკლებად არის დამოკიდებული. 2020 წელს შეერთებულ შტატებში იმპორტირებული ნავთობის მთლიანი მოცულობის მხოლოდ 3%-ს შეადგენდა რუსული ნავთობი. 2021 წელს „გაზპრომმა“ ექსპორტზე 185,1 მილიარდი კუბური მეტრი გაზი გაიტანა. ევროპის უმეტესი ნაწილი რუსულ გაზზე ძლიერ არის დამოკიდებული: ევროკავშირის ქვეყნებში ბუნებრივი აირის მთლიანი იმპორტის დაახლოებით 40% რუსეთზე მოდის.

შეძლებს თუ არა ევროპა რუსული გაზისა და ნავთობის გარეშე არსებობას?

თუ რუსეთი გაზის მიწოდებას შეწყვეტს, ყველაზე მეტად იტალია და გერმანია დაზარალდებიან. სწორედ ეს ქვეყნები არიან ყველაზე მეტად რუსულ გაზზე დამოკიდებული. ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ბრიტანეთი ენერგიის რუსულ წყაროებზე გაცილებით ნაკლებად არის დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, რუსული ნავთობის მიწოდება მთლიანი რაოდენობის 8%-ს, ხოლო რუსული დიზელის საწვავი — 18%-ს შეადგენს. აშშ რუსული გაზის იმპორტს არ ახორციელებს, მაგრამ ფასები როგორც ბრიტანეთში, ასევე — შეერთებულ შტატებში კვლავ საკმაოდ მაღალია. ამის მიზეზი მსოფლიოს სხვა ნაწილებში მიწოდების შეფერხებაა.

რუსეთის ვიცე-პრემიერმა ალექსანდრე ნოვაკმა განაცხადა, რომ რუსულ ნავთობზე უარის თქმას „მსოფლიო ბაზრისთვის კატასტროფული შედეგები“ მოჰყვება: ერთი ბარელის ფასმა, შესაძლოა, 300 დოლარს გადააჭარბოს. ამ შემთხვევაში ქვეყნებს მოუწევთ მიწოდების უზრუნველყოფა სხვა ადგილებიდან, რაც განსაკუთრებით რთულია გაზის შემთხვევაში.

შესაძლებელია თუ არა ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენება?

ევროპისთვის გაზის ალტერნატიული წყაროების პოვნა ადვილი არ არის, — ამბობს ენერგეტიკული პოლიტიკის ანალიტიკოსი ბენ მაკუილიამსი. **„ნავთობის შემთხვევაში ცოტა უფრო ადვილია. მართალია, არ არის ბევრი მილსადენი, ზოგი რუსეთიდან მოდის, მაგრამ მიმწოდებლები სხვა ქვეყნებიც არიან“,** — დასძენს ის. ანალიტიკური ცენტრის — Brugel პროგნოზით, თუ რუსეთი ევროპაში მიწოდებას შეაჩერებს, მაშინ ევროპას შეუძლია აშშ-დან მეტი თხევადი ბუნებრივი გაზის იმპორტი განახორციელოს.

ახალ რეალობაში ქვეყნებს შეუძლიათ ენერგიის ალტერნატიული წყაროების მოხმარება გაზარდონ, თუმცა ამას დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდება. **„განახლებადი ენერგიის გამოყენებას დრო სჭირდება. ასე რომ, ეს პრობლემას მოკლევადიან პერიოდში ვერ გადაჭრის“,** — ამბობს კვლევის ანალიტიკოსი სიმონა ტალიაპიეტრა. **„რაც შეეხება მომავალ ზამთარს, შეიძლება სხვა ტიპის საწვავზე გადასვლამ ვითარება შეარბილოს. მაგალითად, ასეთია ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურების გახსნა, როგორც ამას იტალია და გერმანია საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში გეგმავენ,“** — დასძენს მკვლევარი.

კიდევ ერთი ვარიანტია ენერგიის მოთხოვნის შემცირება. **„თუ ჩვენ აღმოვჩნდებით მსოფლიოში, სადაც რუსული ნავთობი და გაზი ევროპას არ მიეწოდება, მომხმარებლისთვის შეზღუდვების დაწესება მოგვიწევს“,** — ამბობს ბენ მაკუილიამსი.

კიდევ საიდან შეიძლება ნავთობისა და გაზის იმპორტი?

აშშ მოპოვებული ნავთობის მოცულობის გაზრდას საუდის არაბეთს სთხოვს, თუმცა შეერთებული შტატების ადრინდელი მოთხოვნა ფასების შემცირების შესახებ, უარყოფილია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საუდის არაბეთი OPEC-ის უმსხვილესი წევრია. აღნიშნული ორგანიზაცია ნავთობის მსოფლიო მარაგის დაახლოებით 60%-ს აკონტროლებს. ამიტომაც ნავთობის ფასების განსაზღვრაში მთავარ როლს OPEC-ი ასრულებს. რუსეთი OPEC-ის წევრი არ არის, თუმცა ამ ორგანიზაციასთან 2017 წლიდან თანამშრომლობს.

აშშ ვენესუელისთვის დაწესებული ნავთობის სანქციების შემსუბუქებასაც გეგმავს. ადრე ვენესუელა აშშ-ისთვის ნავთობის მთავარი მიმწოდებელი იყო, მაგრამ ბოლო დროს ქვეყანა თავის ნავთობს ძირითადად ჩინეთზე ყიდის. ევროპამ, შესაძლოა, მიმართოს გაზის ისეთ ექსპორტიორებს, როგორებიც არიან ყატარი, ალჟირი ან ნიგერია. თუმცა ამ ქვეყნებში წარმოების სწრაფად გაფართოებისთვის პრაქტიკული ბარიერები არსებობს.

საქართველოში ელექტროენერგიის მოწოდების პრობლემა არ დგას

ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და განვითარების მინისტრის ინფორმაციით, ამ ეტაპზე, საქართველოში ელექტროენერგიის მოწოდების პრობლემა არ დგას. როგორც ამ თემაზე საუბრისას ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, ქვეყანა ელექტროენერგიის 10-14%-ს იმპორტის სახით იღებს.

„ჩვენ, სამწუხაროდ, იმ დროს, როდესაც ქვეყანას აქვს განახლებადი ენერგიის წარმოების და ზოგადად ელექტროენერგიის გენერაციის უდიდესი პოტენციალი, ჯერ კიდევ გვიწევს მისი იმპორტი. მზარდი ეკონომიკური განვითარების პირობებში, ეს იმპორტი, სამწუხაროდ, ასევე მზარდია. თუმცა, ამ მომენტისთვის ეს არ არის მაინც ძალიან მნიშვნელოვანი რიცხვი, დაახლოებით 10-14 %-ია, რასაც საქართველო, ზოგადად, იმპორტის სახით იძენს. ელექტროენერგიის იმპორტის ორი ძირითადი წყაროა — რუსეთი და აზერბაიჯანი, ჩვენ დაახლოებით 1.2 გიგავატ/სთ ელექტროენერგიას ვიღებთ რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან — დახლოებით 600 მეგავატ/სთ-ს, ასევე არის გარკვეული იმპორტი სომხეთიდან“, — აღნიშნა მინისტრმა. ამასთან, ლევან დავითაშვილის განმარტებით, იმპორტის მაჩვენებელი ძირითადად უფრო მზარდი ზამთრის თვეებშია, ადგილობრივი ჭარბი ელექტროენერგიის გენერაცია კი გაზაფხული-ზაფხულის თვეებში ხდება. შესაბამისად, შემდგომ თვეებში საქართველოში უკვე ადგილობრივი გენერაციის მატებას უნდა ველოდოთ.

„გაზაფხულზე, საქართველოში, როგორც წესი, ჰიდროენერგიის წარმოება იზრდება და პიკური თვეები გვექნება მაის-ივნისში. ასე რომ, მომავალ თვეებში იმპორტზე ნაკლები დამოკიდებულება გვექნება“, — აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

„საქართველოს რკინიგზა“ რელსების გარეშე არ დარჩება!

სს საქართველოს რკინიგზა 13 მარტს ტელეკომპანია „პირველის“ საინფორმაციო გადაცემაში რელსების ტენდერთან დაკავშირებით გაშუქებულ საკითხს ეხმაურება. როგორც მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ტენდერი შედგა და ხელშეკრულება საქართველოს რკინიგზამ კომპანია „უნი 2“-თან 2021 წლის სექტემბრის დასაწყისში გააფორმა. მათივე ინფორმაციით, დოკუმენტის თანახმად, შესასყიდად მოთხოვნილი პროდუქციის მოწოდება უნდა განხორციელდეს 450 დღის ვადაში, ტენდერი ორი წლის მარაგს ითვალისწინებს და პროდუქციის მოწოდება გეგმის მიხედვით ხორციელდება.

„დღეის მდგომარეობით, რელსების ჯამური რაოდენობის 65% კომპანიას რკინიგზისთვის უკვე მოწოდებული აქვს. მომწოდებელ კომპანიას რაიმე სახის შეტყობინება იმასთან დაკავშირებით, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებას ვერ ასრულებს, საქართველოს რკინიგზაში არ გაუკეთებია. ასეც რომ მოხდეს და მომწოდებელმა კომპანიამ დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები, ამოქმედდება საბანკო გარანტია და გამოცხადდება ახალი ტენდერი. კომპანიაში არანაირი საფრთხე იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რკინიგზა რელსების გარეშე დარჩეს, ამ ეტაპზე არ არსებობს“, — ნათქვამია განცხადებაში.

შეშლილი მმართველის ფსიქოპორტრეტი

რუსმა მწერალმა ვიქტორ შენდეროვიჩმა 2022 წლის იანვრის შუა რიცხვებში დატოვა ქვეყანა ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისა და პუტინთან დაახლოებული ბიზნესმენის ევგენი პრიგოჟინის მიერ მის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამო. რადიო თავისუფლებისა და „ამერიკის ხმის“ ტელეპროექტის, Gurrent Time-ისთვის მიცემულ ინტერვიუში შენდეროვიჩი ლაპარაკობს უკრაინაში მიმდინარე ომზე, პუტინზე, რუსეთის ხელისუფლებაზე და იმაზე, თუ რატომაა, მისი აზრით, დიქტატორის სიკვდილი დღესასწაული.

<u>ვიქტორ შენდეროვიჩი:</u> პუტინის სიკვდილი უამრავი ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენს!

პუტინი და ომი

პუტინმა ომი წააგო. პუტინმა ომი უკვე წააგო. რუსეთმა ომი წააგო, რუსეთმა წააგო ყველაფერი, რუსეთმა წააგო მომავალი...

კაცმა რომ თქვას, რუსეთი არ არსებობს, არ არსებობს რუსეთის სახელმწიფო. ის, რასაც ვხედავთ, არის აგონიაში ჩავარდნილი დრაკონი, რომელიც ტორებსა და კუდს სცემს ყველაფერს. ამ აგონიაში მყოფ დრაკონს ძალიან დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. საკითხავი მხოლოდ ისაა, რამხელა იქნება ეს ზიანი: კიდევ რამდენი სიცოცხლეა საჭირო, რამდენი სიცოცხლე, რა ზარალად დაუჯდებათ ყველაფერი ეს უკრაინის ქალაქებს. მაგრამ პუტინმა, რა თქმა უნდა, ომი წააგო. დიდი სტრატეგობა არაა ამისთვის საჭირო. მას ოსური ვარიანტის იმედი ჰქონდა: სწრაფად დაერტყა და მერე ეთქვა, რომ ასეც იყო. მსოფლიო კი მხრებს აიჩჩავდა და იტყოდა: **„ახლა რაღა ვიღონოთ, ახლა საქმე ასეა“...**

ახალგაზრდა და ჯერ კიდევ ნიჭიერ ნიკიტა მიხალკოვს ფილმების გადაღებისას ასეთი ანდაზა ჰქონდა: **„როგორც გამოვიდა, ისე გვინდოდა“.** ეს ძალიან მომხიბვლელია, როცა საქმე ეხება კინოს და ძალიან ნიჭიერ კინოს, როცა შესაძლოა მართლა გამოდის არა ის, რაც ჩაიფიქრე, არამედ ზოგჯერ გამოდის უკეთესად, ვინაიდან ნიჭიერი ხარ. როგორც გამოვიდა, ისე გვინდოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში უბრალოდ იხტიბარს არ იტეხენ. ცხადია, რუსეთი არასოდეს დაიკავებს უკრაინის ქალაქებს, მას შეუძლია ისინი მტვრად აქციოს, ეს კი. არ ვიცი, რამდენი რაკეტა „კალიბრი“ დარჩათ, მტვრად ქცევა შეიძლება, რაღაც რაოდენობის ხალხის მოკვლა ჯერ კიდევ შეიძლება, სისხლის დაღვრა შეიძლება, მაგრამ მიწაზე არა, არ შევლენ, კიევს არ დაიკავებენ. და რომც დაიკავონ, რას გააკეთებენ იქ? მათ ფეხქვეშ მიწა დაეწვებათ. ამიტომ ახლა, ამ ვითარებაში, როცა სავსებით გასაგები გახდა, კი, ისინი რიტორიკას ცვლიან, ვნახოთ, რას გააკეთებენ.

ოღონდ სასურველია, რომ დასავლეთი კვლავ არ ჩავარდეს მარაზმში და პუტინთან როგორც პარტნიორთან არ დაიწყოს ლაპარაკი. მე ვფიქრობ, ჩვენ ყველას, და პირველ რიგში უკრაინას, ძალიან ძვირად გვიჯდება ეს კოლექტიური ჩემბერლენი ათწლეულების განმავლობაში.

პუტინი და უკრაინა

პუტინი უკრაინაზე შურს იძიებს. ამოცანაზე თუ ლაპარაკობთ, კაცმა რომ თქვას, შურისძიება ყველაზე ზუსტად აღწერს იმას, რაც ხდება. „ნურავის ერგები“, კარანდიშევის არ იყოს, „ჩემი არ იქნები, ესე იგი საერთოდ არ იარსებებ“ — ეს არის და ეს, ესაა მთელი ლოგიკა. ეს შურისძიებაა. ესაა ერთადერთი, რაც მას შეუძლია: მტვრად აქციოს კიევი, ხარკოვი, ეს შეიძლება გამოუვიდეს, ვინაიდან მას აქვს ბირთვული იარაღი და დასავლეთს ეშინია, უბრალოდ გაანადგუროს რუსეთის არმია, რაც სავსებით შეუძლია ნატოს.

ან ის ამ ბირთვული იარაღით შანტაჟის მეშვეობით უბრალოდ გაანადგურებს უკრაინას, რასაც ახლა აკეთებს კიდეც. რას ფიქრობენ ის გენერლები, რომლებიც გასცემენ ამ ბრძანებებს და რით ფიქრობენ და რა აქვთ იქ შიგნით, რა ზომამდე შეშლილები არიან ისინი, რა ზომამდე — ცინიკოსები, არ ვიცი. ხომ ნახეთ პუტინის ის საუბარი, ასე ვთქვათ, რუსეთის ელიტასთან. მე ვფიქრობ, ეს ძალიან მეტყველი ვიდეოა. ვხედავთ, რომ საქმე გვაქვს პარალიზებულ ზომბებთან. ეს უკვე აღარავითარი ელიტა აღარაა, ესაა არარაობა, რასაც როგორც გინდა, ისე მოექცევი. და ვფიქრობ, ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ რამეში შეწინააღმდეგებოდნენ პუტინს, უკვე მრავალი წელი ვერ ახერხებენ მასთან სალაპარაკო მანძილზე მიახლოებას, ამიტომ თუკი ვინმეს რამე ესმის, ესმის თავისთვის და პუტინისგან შორს.

პუტინი და სიკვდილი

ნუ ვიძნებით ფარისევლები, ტირანის სიკვდილი ისტორიის კეთილი დასასრულია. ფარისევლობაა ამ დროს ადამიანის სიცოცხლის ლეგიტიმურობასა და ღირებულებაზე ლაპარაკი. ტირანის სიკვდილი ყოველთვის ზეიმია. მე ვმეგობრობდი გულაგელებთან. ლევ იმანუილის ძე რაზგონიც, ვაცლავ იანის ძე დვორჟეცკიც მეუბნებოდნენ, რომ მეზეიმა 5 მარტი, ეს დღესასწაულია. როცა ტირანი ჩაძაღლდება ხოლმე, ეს ზეიმია, ვინაიდან ტირანის სიკვდილი იხსნის უზარმაზარი რაოდენობის ადამიანთა სიცოცხლეს, პუტინის სიკვდილი უამრავი ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენს. და სისულელეებს შევეშვათ: ეს კეთილი დასასრულია. პუტინის სიკვდილი პრაქტიკულად ყველასთვის სასიხარულო იქნებოდა.

მოვლენებს თავ-თავიანთ სახელებს ვარქმევ, ეს იქნებოდა დიდი საჩუქარი ყველასთვის, მათ შორის შოიგუსთვის, და შეიძლება პირველ რიგში შოიგუსთვის, ვინაიდან ის ერთ-ერთია იმ პოტენციურ ადამიანებს შორის, რომლებიც შეიძლება მოძებნოს ხელისუფლებამ. აღარაფერს ვამბობ უკვე Forbes-ის მთელ სიაზე, რომელსაც დიდი ხანია სძინავს და ოცნებობს, რომ შერჩეთ ყველაფერი, რის მოხვეჭაც პუტინის დროს შეძლეს, როცა ხაზინაში პუტინის სურათით შედიოდნენ. ოღონდ პუტინის გარეშე, ოღონდ სანქციების გარეშე, ოღონდ ანგარიშების დაყადაღების გარეშე, ოღონდ კომოში და მაიამიში ვილებით, ბავშვებით, რომლებსაც ვიზები ექნებათ — ეს მათ ძალიან უნდათ.

მაგრამ, იმედი მაქვს, ეს არ მოხდება. იმედი მაქვს, რომ დიახ, დიდ დრამატულ ფასად, მაგრამ უახლოეს ისტორიულ დროში პუტინის რუსეთი უკან დაგვრჩება. და იმედი მაქვს, რომ ყველა, ვისაც კავშირი ჰქონდა ამ პუტინის რუსეთის ფორმირებასა და გაძლიერებასთან, მინიმუმ მოშორდება, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კი სასამართლოს წინაშე წარდგება. ძალიან იმედი მაქვს ამის. მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ რუსეთის იმპერია, რომელიც ჩვენ თვალწინ კვდება, ახლა ჩვენ ფართო პლანით ვუყურებთ და არა ახლო პლანით. ახლო პლანია ომი უკრაინაში, „სპეცოპერაცია“, ესა, ისა, ერთი, მეორე, დეფოლტი... მაგრამ თუკი ფართო პლანით შევხედავთ, ჩვენ ვაკვირდებით რუსეთის იმპერიის გაჭიანურებულ კვდომას. აი, ასე კლასიკურად სრულდება ის: ომები პროვინციებში, დაშლა, რაიმე იდეოლოგიის არქონა, იულიუს კეისრის ადგილზე მოდიან უბრალოდ ვიღაც ვიგინდარები, სუსლოვისა და ანდროპოვის ადგილზე პუტინი მოვიდა — აი, კლასიკური ვითარება.!საქმე მხოლოდ ისაა, გადარჩება თუ არა რუსული ცივილიზაცია, ამ იმპერიის შემდეგ გადარჩება თუ არა ის. ყველაზე ახლობელი ანალოგია, რომელიც პირველი ამოტივტივდება მეხსიერებაში, ესაა რუსეთი ივანე მრისხანის ლივონიის ომის შემდეგ: სრული გაჩანაგება, ლპობა, სიღატაკე, ყველაფერი მრავალწლიან ომში ჩაიდო, აღარაფერი დარჩა. არის რიტორიკის ნარჩენები, არის ჰალუცინაციებში ჩავარდნილი, შეშლილი მმართველი, სასტიკი და დასავლეთთან წინააღმდეგობაზე შეშლილი, არის სრულიად გაჩანაგებული ქვეყანა, რომელშიც არ არის არაფერი — რუსეთი ლივონიის ომის შემდეგ.

პუტინი და რუსეთი

ᲐᲠᲘᲐᲜ ადამიანები, ღირებულებების მატარებლები. იმედი მაქვს, რუსეთში არის მაინც რამდენიმე მილიონი ადამიანი ევროპული ღირებულებებით, მცველები, რუსული ცივილიზაციის წარმომადგენლები, დიდი მშვენიერი ძველი რუსული ცივილიზაციისა. მაგრამ არის სახელმწიფო... არის ეს ბიზანტია, ეს ბინძური მესამე რომი, ეს პუტინური სიგიჟე, რომელიც უბრალოდ საფლავში მიათრევს ცივილიზაციას.

არიან ადამიანები და არის სისტემა. გარეთ გამოსვლა — აქ, ცხადია, გერმანული ანალოგიაა, მე არ მითქვამს ეს პირველს — გარეთ გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ მასობრივი ეროვნული მონანიებით, ფორმალური მონანიებით არა. არა, აი, ასეთი გერმანული მაგალითის მიხედვით: უნდა მოხერხდეს რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში შინაგანი მუშაობა. ბიოლიც გამოიძებნება, ჰესეც გამოიძებნება, გიუნტერ გრასიც გამოიძებნება. მაგრამ უნდა გამოიძებნოს კიდევ ათობით ათასი ადამიანი, რომელიც იქნება ქვეყნის ახალი ელიტა, რომლებიც შეეცდებიან ახსნან, რომ დაწყება საჭიროა იმ კოშმარის გააზრებით, რაც მოვუტანეთ მსოფლიოს და საკუთარ ხალხს, და მონანიებით. ეს მონანიება თუ არ იქნება, არაფერი არ იქნება.

თავად პუტინის გამარჯვება, პირადად პუტინის, ვინაიდან რუსეთი დამარცხდა, იქნებოდა ის, რომ აღმოჩნდებოდა არა სამხედრო დამნაშავეთა სკამზე, არამედ რუსეთი იქნებოდა მკაცრი ავტარკია რკინის ფარდის მიღმა, უზბეკეთის, თურქმენეთის ან ირანის ტიპის და უკვე პირდაპირ მოედნებზე სახრჩობელებით. სტრუგაცკების მიხედვით ეს შავების მოსვლა იქნებოდა. ამ სტრუქტურაში პუტინი რჩება ხელისუფლებაში და პუტინი სიცოცხლეს აგრძელებს ბოლომდე. მაგრამ რუსეთი არის რაღაც ტერიტორია მსოფლიოს ფარგლებს გარეთ, როგორც თურქმენეთი.

თქვენ გაინტერესებთ, რა ხდება თურქმენეთში? მსოფლიოს აინტერესებს? არა, მაგრამ თურქმენეთი არსებობს. ვიცით, რომ იქ ქვის ხანაა, მაგრამ რას იზამ, ასე მოხდა. მაგრამ ვინაიდან თურქმენეთი არავის ემუქრება, რას ვიზამთ, როგორც დასავლეთი ამბობს ხოლმე, ჩვენ „შეშფოთებას გამოვხატავთ“. ჩვენ მუდამ ყოველდღე გამოვხატავთ შეშფოთებას თურქმენეთში არსებული ვითარების გამო, მაგრამ თან თითქოს საკუთარ თავსვე ვეუბნებით თვალის ჩაკვრით: „რას იზამ, ასე გამოვიდა“. ასე იქნება რუსეთის შემთხვევაშიც. ვინაიდან მას ბირთვული იარაღი აქვს, ცხადია, არავინ არაფერს არ დაიპყრობს, უბრალოდ პერიმეტრზე ჩამოაჭრიან მიწებს და McDonald's-ი შემდეგ — ჯანდაბას ეს McDonald's-ი - ხალხი გამოვა, წავა, არ იქნება არავითარი ფული, იქნება ნატურალური მეურნეობა, თურქმენეთი. დღეს ასე გამოიყურება პუტინის გამარჯვება. პუტინის გამარჯვება იმაში მდგომარეობს, რომ ის ბრალდებულის სკამზე არაა და ცოცხალია. დღეს პუტინს არავითარი სხვა გამარჯვება არ მოეპოვება.

პუტინი და ხელისუფლება

ᲯᲔᲠ კიდევ ადრე, 10 წლის წინ, ბოლოტნაიას მოედანზე განადგურდა ხელისუფლების ლეგიტიმურად შეცვლის მექანიზმები, ხელ-ფეხი გადაუმტვრიეს იმათ, ვინც, კაცმა რომ თქვას, ითხოვდა პატიოსან არჩევნებს, ხელისუფლების შეცვლას, შეთანხმებებს, მრგვალ მაგიდას პოლონეთის მაგალითით და ა.შ. ყველაფერი ეს გატეხეს და გაანადგურეს. 2012 წლიდან და მით უმეტეს 2014 წლიდან, და მით უმეტეს 2022 წლის შემდეგ, არავითარი გზა ლეგიტიმურ ველზე გასასვლელად უკვე აღარ არსებობს.

უახლოეს ხანებში მოგველის სასახლის გადატრიალების ესა თუ ის ფორმა, ანუ როცა პუტინი აღარ იქნება და ადამიანი, რომელიც პუტინის შემდეგ მოვა, ბუნებრივად მიმართავს დასავლეთს და იტყვის: „მოგვეცით საკვები“.. რამე მოგვეცით, საკვები, ინვესტიციები — ჩვენ გამოვსწორდებით“. და ჩვენ დავიწყებთ ყირიმის, დონბასის მიცემას საკვების სანაცვლოდ, შეიცვლება პოლიტიკა — ეს ერთი ვარიანტია. მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ რაიმე სასახლის გადატრიალების შედეგად. არავითარი სხვა მექანიზმი უბრალოდ აღარ დარჩა, ხომ ხედავთ ამ პარლამენტს, ხომ ხედავთ ამ მოსამართლეებს, ხედავთ ამ უზენაეს სასამართლოს და ხედავთ ამ პრესას: სიმონიანს „ეხო მოსკვის“ სიხშირეებზე.

პუტინი და მისი გარემოცვა

ᲡᲐᲫᲘᲠᲝᲑᲐ მათი რიტორიკისთვის ყურადღების მიქცევა, გაგება, რა სურთ, როგორ ცდილობენ გამოსავლის პოვნას, როგორ სურთ გამოსვლა საკუთარი გამოუვალი ვითარებიდან. დამიჯერეთ, მათი ვითარება გამოუვალია, მათ არ შეუძლიათ ომში უკრაინის დამარცხება, მათ მხოლოდ შეუძლიათ ზარალით უკრაინისა და მსოფლიოს დაშანტაჟება, მაგრამ ისინი ბოროტმოქმედები არიან და ლავროვს შესანიშნავად ესმის, რომ ის სამხედრო დამნაშავეა. შეგახსენებთ, რობესპიერი ჩამოახრჩვეს. ის მონაწილეა, ეს ამ კონსტიტუციის ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია.

დღის წესრიგი რომ მარტივად ავხსნათ, მოლაპარაკებების თემა სინამდვილეში არის რაიმე ისეთი დანებების პირობა, რომელიც მათ ხელისუფლებაში დარჩენის საშუალებას მისცემდა, ვინაიდან, ვიმეორებ, ომის გარეშე და სანქციების პირობებში ისინი ვერ გაძლებენ, ეს ცხადია. ომი არის ერთადერთი საშუალება, რეკეტი არის ერთადერთი დღის წესრიგი. აი, ვნახავთ, რამდენი ძალა აქვს რეკეტიორს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როდის მოხდება დეფოლტი, როდის გამოილევა რაკეტები „კალიბრი“. ეს არის და ეს — ომი დასრულდება, როცა უბრალოდ ამოიწურება შეიარაღება, სხვა კი აღარ იქნება. ისინი კი შანტაჟს, ბლეფს ეწევიან, მაგრამ მსოფლიო მგონი უკვე მიხვდა, ვისთან აქვს საქმე. ამ თვალსაზრისით პოლიტიკური პერსპექტივები კარგია, ისინი დამარცხდნენ, საკითხავი მხოლოდ ისაა, რამდენი სიცოცხლე უნდა გაიღოს უკრაინამ ამისთვის და რა სახის ნგრევა. მე უფრო სიცოცხლეები მაინტერესებს, ვინაიდან როცა ყველაფერი დასრულდება, ინვესტორები რიგში ჩადგებიან უკრაინის აღსადგენად. და უკრაინის როგორც სახელმწიფოს საქმე კარგად იქნება, ამის თქმა სრულიად დანამდვილებით შეიძლება. საკითხავია მხოლოდ, რა ფასად.

რუსეთის ეკონომიკური კოლაფსი, გერმანიის „გამოღვიძება“, ანჯეი დუდას ვაჟკაცობა...

უკრაინაში შეჭრის გამო, დასავლეთი რუსეთთან ხელჩართულ ომში არ ებმება, მაგრამ, სამაგიეროდ, სანქციების ომს უცხადებს, რითაც მის ეკონომიკურ განადგურებას ლამობს. ბოლომდე განადგურებას! რუსეთი ძველი ტიპის კონვენციურ ომშია ჩაბმული უკრაინასთან, დასავლეთი, კი, რუსეთთან ულტრათანამედროვე ომს აწარმოებს.

ვინ ვის აჯობებს, ჯერ არ გამოკვეთილა ბოლომდე, თუმცა, ნელნელა ნათელი ხდება. მთავარი კი, მაინც ისაა, რომ ქვეყნებსა და ხალხებს შორის ამ ახლებური ჭიდილის შედეგად, ჩვენს თვალწინ, დღევანდელისგან სრულიად განსხვავებული მსოფლიო წესრიგი და გლობალური მიმოცვლის ახალი პარადიგმა იბადება. რუსეთის მოსათოკად, წინათაც იყო სხვადასხვა სახის სანქციები, მაგრამ ასეთი ჯერ არფერი უგემია. რუსეთს სანქციების გრძელი სიის გამკლავება მოუწევს, რომელიც ამერიკამ და ევროპამ, და მათთან ერთად, დანარჩენი მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ დაუწესა.

დასავლეთმა ირანს თავის დროზე 3600 სანქცია დაუწესა, რუსეთს კი, ახლა 5500. სანქციათა შორის, ერთერთი უმძიმესი რუსეთის გათიშვაა საერთაშორისო საბანკო ასოციაციის SWIFT-ის სისტემიდან, რამაც ქვეყანაში მთლიანად მოშალა ფულადი ტრანზაქციების გამაადვილებელი სისტემა.

ამბობენ, რომ რუსეთი გარდაუვალი ეკონომიკური კოლაფსისკენ მიექანება, რომელიც 1998 წლის ფინანსურ დეფოლტს მოგვაგონებს, როცა რუბლი კატასტროფულად გაუფასურდა. პანიკა მომავალ დეფოლტზე რუსეთში უკვე დაიწყო: ცენტრალურმა ბანკმა აღიარა სანქციების სიმძიმე; მოსკოვის საფონდო ბირჟა დაიხურა; რუბლი ყოველდღიურ ვარდნას განაგრძობს; დაწესდა შეზღუდვები ფულის გატანასთან და გადარიცხვებთან დაკავშირებით; ლონდონის ბირჟაზე რუსული კომპანიების აქციების ღირებულება ჯერ მკვეთრად დაეცა, შემდეგ კი, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საერთოდ შეჩერდა; თვალსა და ხელს შუა მცირდება რუსი ოლიგარქების ქონება; სანქციებით შეწუხებული რიგითი რუსები კი, თბილ ქვეყნებში გადასაბარგებლად ემზადებიან...

ცხოვრების დონე რუსეთში უკვე დაეცა და წინ, როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, კიდევ უფრო მეტი ვარდნაა მოსალოდნელი. შეეგუება თუ არა ამას რუსეთის მომთმენი მოსახლეობა, ჯერ არავინ უწყის, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ, ამასობაში, მათაც შეეცვალოთ გუნება. ხოლო, მოახდენს თუ არა, ან რამდენად მოახდენს ეს სანქციები გავლენას უკრაინაში უკვე შორს წასულ საომარ მოქმედებებზე, ამას უახლოეს მომავალში ვნახავთ.

* * *

ომები რომ პოლიტეკონომიკურ რყევებს იწვევს და ჩვენს ყოფაზე მკვეთრად აღიბეჭდება, ამას არ სჭირდება ჩემი მტკიცება. უფრო მეტიც, ისტორიას უცვლის ხოლმე მიმართულებას. რუსულ-უკრაინული სამხედრო შეტაკება, როგორც ჩანს, მართლა გადაასხვაფერებს ევროპას და გადააკეთებს მისი პოლიტიკური საქციელის იმ მოდელს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა. მაგალითისთვის, საკმარისი იქნება რუსეთის მიმართ გერმანიის განწყობის რადიკალური ცვლილება. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი მის მიმართ განხორციელებული წნეხის, საყოველთაო პანიკისა და წარსულის შეცდომათა მწარე აღიარების პირდაპირი შედეგია. რუსეთის სამხედრო ძალების უკრაინაში შეჭრამ დაანგრია ცივი ომის შემდგომი ევროპული უსაფრთხოების ნაგებობა.

...ანდრეი მელნიკი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. წლების განმავლობაში ხომ მან გერმანელებს ერთი ტყვიაც კი ვერ გაამეტებინა უკრაინაში გასაგზავნად, რომ ხალხი და ქვეყანა რუსული აგრესიისგან დაეცვა! 27 თებერვალს, გერმანიის ბუნდეს-კანცლერმა ბუნდესტაგს, იგივე პარლამენტს, პირადად გააცნო ამ კურსის მთავარი პუნქტები. როგორც ოლაფ შოლცმა აღნიშნა, გერმანიის კურსის შეცვლა რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის შეჩერების მოტივითაა გამოწვეული, რომელიც ძირს უთხრის მშვიდობას ევროპაში. ბუნდეს-კანცლერის თქმით, ამიერიდან, გერმანია რუსეთის მიმართ გაატარებს არა დაყვავებისა და დამშვიდების, არამედ შეკავების პოლიტიკას. ეს კი, ნიშნავს გერმანიის გააქტიურებას ნატოს სტრუქტურებში და, საფრანგეთთან ერთად, ლიდერობას ევროპაში უსაფრთხოებისა და მშვიდობის საკითხებში. გერმანიის მთავრობა მკვეთრად ზრდის თავის სამხედრო ბიუჯეტს, 50 მილირდიდან 100 მილიარდ ევრომდე, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ბუნდესვერის, ანუ გერმანიის შეიარაღებული ძალების, მთლიანი გადაიარაღება სუპერ-თანამედროვე საწყისებზე.

გერმანიამ ყველაზე თანამედროვე სამხედრო თვითმფრინავების შეძენა გადაწყვიტა, რაც ნატოს სამხედრო უნარს გაამაგრებს. ბუნდეს-კანცლერის ახლანდელი რწმუნებით, გერმანია ასევე, გააქტიურდება გაეროსა და ნატოს სამშვიდობო მისიებში. ცვლილება უკრაინის სამხედრო ტექნიკით დახმარების საკითხსაც შეეხო.

როგორც ბუნდეს-კანცლერმა ბუნდესტაგს განუცხადა, ყველამ ევროპაში, და განსაკუთრებით გერმანიაში, უნდა იცოდეს, რომ სამხედრო ძალა ევროპამ არასდროს არ უნდა გამოიყენოს აგრესიული ომების გასაჩაღებლად. ჩვენ ეს ძალა მხოლოდ ევროპის კონტინენტის დასაცავად გვჭირდება, რომელიც 75 წელზე მეტია მშვიდობისა და კეთილდღეობის სავანეა. მოვიდა დრო, როცა უნდა გამოვფხიზლდეთ და ვთქვათ: ევროპის უსაფრთხოების დაცვა ჩვენი მთავარი მოვალეობაა. გერმანიის მთავრობის კურსის ასეთი შეცვლა პირადად ბუნდეს-კანცლერის ინიციატივა იყო. ოლაფ შოლცმა ყველაფერი სცადა, რომ პუტინს უკრაინაში ომის დაწყება გადაეფიქრებინა. ის პირადად ეწვია რუსეთის პრეზიდენტს. ბუნდეს-კანცლერი პუტინს შეჰპირდა, რომ გერმანია ვეტოს დაადებდა უკრაინის ნატოში მიღებას. თითქოს, კმაყოფილიც წამოვიდა შოლცი რუსეთიდან. გერმანიის მასმედიამ მაშინვე დაწერა, რომ მაკრონმა და შოლცმა პუტინს ომის დაწყება გადააფიქრებინეს, მაგრამ როგორც ჩანს, იჩქარეს დასკვნების გაკეთება. რუსეთმა მაინც

დაიწყო სამხედრო ოპერაცია უკრაინის წინააღმდეგ, რამაც შოლცი საგონებელში ჩააგდო. ის შეურაცხყოფილიც კი დარჩა და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მიხვდა, რომ გერმანიამ კურსი უნდა შეცვალოს, რადგან საქმე ევროპის უსაფრთხოებას ეხება.

ერთგვარი ირონიაა იმაში, რომ შოლცი სოციალ-დემოკრატია და როგორც ვიცით, გერმანელი სოციალ-დემოკრატები რუსეთის მიმართ ყოველთვის უფრო კეთილად იყვნენ განწყობილნი, ვიდრე სხვა პოლიტიკური ძალები. ასევე, პოლიტიკური პარადოქსია, რომ რუსეთის პრეზიდენტი ნატოსა და, ზოგადად, დასავლეთის დასუსტებას ცდილობდა. ნაცვლად ამისა, რუსეთმა თავის საზღვრებთან ერთ მუჭად შეკრული, მოძლიერებული და უკეთესად შეიარაღებული ნატო მიიღო. გერმანიის მიერ კურსის ასეთი შემობრუნება, მე ვიტყოდი, ტევტონური სიმტკიცითა და დაჟინებით, მსოფლიოს აუწყებს, რომ ისევ გერმანია იღებს ხელში ევროპის სადავეებს.

* * *

უკვე ორი კვირაა, რაც სრულიად სამყაროს ყურადღება რუსეთ-უკრაინის შეიარაღებულ კონფლიქტს აქვს შთანთქმული, და ჩვენც, ცხადია, ამაზე მნიშვნელოვანი, არაფერი გვაქვს სალაპარაკო. თუმცა, დღეს პოლონეთის ლიდერი, პრეზიდენტი ანჯეი დუდა მინდა გაგაცნოთ. პოლონეთს, უკრაინასთან, დასავლეთით 535 კმ-იანი საზღვარი, ხოლო რუსეთთან ისტორიული მტრობა და ზიზღი აკავშირებს.

იგი, ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნებიდან ერთერთია, რომელსაც რუსულ-უკრაინული კონფლიქტი უშუალოდ შეეხო. გარდა იმისა, რომ უკრაინიდან ასიათასობით დევნილი მიაწყდა მის საზღვრებს, რომელთაც არა მხოლოდ მორალური თანადგომა, არამედ მიღება, დაბინავება, საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფა სჭირდება, პოლონეთი აქტიურადაა ჩაბმული ანტი-რუსულ კამპანიაში უკრაინასა და საერთოდ ევროპაში მშვიდობის სასარგებლოდ. თანამედროვე პოლონეთი, საპრეზიდენტო და საპარლამენტო შერეული სისტემის მქონე რესპუბლიკაა, სადაც სახელმწიფოს პირველი პირი პრეზიდენტია.

დღეს ეს თანამდებობა 49 წლის ანჯეი დუდას უკავია. ამ ახალგაზრდა, გამჭრიახი, ნიჭიერი და დინამიური კაცის ცხოვრება მოკლედ ასე შეიძლება აღვწეროთ: ბოი-სკაუტობიდან ქვეყნის პრეზიდენტობამდე. ანჯეი კრაკოვში დაიბადა პროფესორების ოჯახში. იგი ბავშვობიდანვე ღვთის მოშიში და მორწმუნე ყოფილა. სკოლის პერიოდში, თურმე, აქტიურად მონაწილეობდა ჰარცერების მოძრაობაში. ჰარცერები პოლონელი სკაუტები არიან. სწორედ მათ რიგებში ყალიბდებიან პატრიოტ რომანტიკოსებად პოლონელი გოგო-ბიჭები. სკოლა რომ დაამთავრა, მშობლიურ კრაკოვის უნივერსიტეტს მიაშურა და იურიდიული ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა. ამის შემდეგ, ანჯეი დუდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თავის Ѳდქფ Ժფეუკ-ში.

სტუდენტობის დროიდანვე აინტერესებდა პოლიტიკა და ბოლოს ცენტრისტული პარტიის, თავისუფლების კავშირის წევრი გახდა. და აი, ანჯეი დუდას ცხოვრებაში გარდატეხის მომენტი დადგა: მან ცნობილი პოლონელი პოლიტიკოსები, ტყუპი ძმები, ლეხ და იაროსლავ კაჩინსკები გაიცნო, რომელთაც ძალიან მოეწონათ ახალგაზრდა იურისტი და თანამშრომლობა შესთავაზეს, რითაც ის კაჩინსკების ვიწრო პოლიტიკურ წრეს შეუერთდა. 2006 წელს ანჯეი დუდა პოლონეთის იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, იყო პოლონეთის სახელმწიფო ტრიბუნალის წევრი და, ბოლოს, სახელმწიფო მდივანი პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის აპარატში. ძალიან დაუახლოვდა პრეზიდენტს, რომლის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ ანჯეი დუდა საკუთარ თავს ლეხ კაჩინსკის საყვარელ მოსწავლეს უწოდებს.

2010 წელს, პარტიამ ანჯეი დუდა კრაკოვის მერობის კანდიდატად წამოაყენა, მაგრამ არჩევნებში მარცხი განიცადა. 2011 წელს იგი პოლონეთის პარლამენტის, სეიმის, წევრად აირჩიეს, სადაც სხვადასხვა კომიტეტში წამყვან თანამდებობებს იკავებდა. 2014-15 წლებში ანჯეი დუდა ევროპის პარლამენტის წევრი იყო. ამის შემდეგ, პარტიამ ის პოლონეთის პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა. იმ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულის გამოსავლენად მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო, რომელშიც ანჯეი დუდას მოწინააღმდეგე პოლონეთის მაშინდელი პრეზიდენტი, ლიბერალურ-კონსერვატული პარტიის ლიდერი ბრონისლავ კომოროვსკი იყო. მეორე ტურში ანჯეი დუდამ ხმების 52 პროცენტი მიიღო და პოლონეთის პრეზიდენტი გახდა.

მისი პრეზიდენტობის დროს პოლონეთის ეკონომიკამ დინამიური ზრდა განიცადა, შემცირდა უმუშევრობა და გაიზარდა მინიმალური ხელფასი. ანჯეი დუდა და მისი პარტია ევროპაში კონსერვატულ-ქრისტიანული პოლიტიკური იდეების გამტარებელია. იგი მკაცრად აკრიტიკებს ლგბტ საზოგადოებას. როგორც თავად ამბობს, მისი პრეზიდენტობის დროს ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინება არასოდეს არ იქნება და ერთსქესიანი წყვილები ბავშვებს ვერ იშვილებენ. მისი ღრმა რწმენით, ოჯახის ინსტიტუტის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნორმალური სახელმწიფოს სტაბილურობის საქმეში. თავისი საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის ერთერთ გამოსვლაში, მან ყოველგვარი მორიდების გარეშე განაცხადა, რომ ლგბტ უფლებების დაცვის იდეოლოგია უფრო დამანგრეველი მოვლენაა, ვიდრე თავად კომუნიზმის პროპაგანდაო. იქვე, იმასაც გაუსვა ხაზი, რომ შვილების სექსუალური აღზრდა მხოლოდ ოჯახის საქმეა და რომ არავითარი სხვა ინსტიტუცია არ უნდა ერეოდეს ამ საქმეში. ანჯეი დუდა ევროკავშირში პოლონეთის როლის გაძლიერების მომხრეა, ოღონდ, ლიბერალური ბრიუსელის დიქტატის გარეშე. 2017 წელს, პოლონეთის მთავრობამ, ყოველწლიური დინამიური მატების გათვალისწინებით, გადაწყვიტა გაეზარდა სამხედრო ბიუჯეტი.

ასევე, დასტური მისცა პოლონეთის სამხედრო ძალების მოდერნიზაციას, რა თქმა უნდა, ამერიკის დახმარებით, გადაწყვიტა რა, შეეძინა ყველაზე თანამედროვე ამერიკული ავიაგამანადგურებელი A-35. 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ანჯეი დუდამ ისევ გაიმარჯვა და მეორე ვადით

შეინარჩუნა პრეზიდენტობა. მისი პრეზიდენტობის დროს, პოლონეთი ნატოს ერთ-ერთ წამყვან ძალად იქცა. მისივე დამსახურებაა, რომ ამერიკა პოლონეთს თავის ერთერთ ყველაზე ახლო მოკავშირედ განიხილავს. ანჯეი დუდა და მისი პარტია რუსეთს მოწინააღმდეგედ, უფრო მეტიც, მტრად მიიჩნევს, რასაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილების მიხედვით ამართლებს. ანჯეი დუდა ევროპის სხვა ქვეყნების ლიდერებს ყოველთვის აფრთხილებდა რუსეთის აგრესიულ ზრახვებზე: დღევანდელი რუსეთი იმპერიალისტური იდეებით არის შეპყრობილი და თუ არ აღვუდექით მას, ევროპაში კატასტროფა მოხდებაო.

პრეზიდენტის პირად ცხოვრებას რაც შეეხება, ანჯეი დუდამ მომავალი მეუღლე ლიცეუმში სწავლის დროს გაიცნო. აგატა კორნჰაუზერი ებრაული და კათოლიკური წარმოშობის ცნობილი პოლონელი პოეტისა და ფილოლოგიის

პროფესორის იულიან კორნჰაუზერის ქალიშვილია. აგატა პროფესიით გერმანული ენის მასწავლებელია. დუდების წყვილს მხოლოდ ერთი ქალიშვილი ჰყავს, სახელად, კინგა. ისიც იურისტია, როგორც მამა. დღეს ამით დავასრულოთ...

ნუგზარ ბ. რუხაძე

წყალქვეშა მეჩოჩების რისკები

ვის და რატომ სურს საქართველოს ახალ ომში ჩათრევა?

საქართველო ისევ უნდათ ომში ჩაითრიონ. ვინ არიან ესენი? ესენი ის მოყელყელავე ჯეელები არიან, ვინც 2008 წელს ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი მტერს ხონჩით მიართვეს. მაინც რაში სჭირდებათ ეს? — იკითხავს მკითხველი. პასუხი ცხადზე ცხადია: იმისთვის, რომ ჩამოირეცხონ, ანდა ეცადონ მაინც მოიშორონ ის ტალახი, რომელშიც 13-ზე მეტი წლის წინ ამოიგანგლნენ, თანაც, მათი აზრით, ცუდი არ იქნება, თუკი ასეთსავე ნეხვში თავიანთ ოპონენტებს, ანუ ახლანდელ მთავრობასაც გასვრიან. მაგალითად, იმით, რომ მსგავსი ავანტიურისკენ უბიძგონ, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის დანარჩენ 80 პროცენტსაც დააკარგვინებდა.

ამ საკითხის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს ხელისუფლებას, კონკრეტულად კი პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილსა** და მის გარემოცვას, რომ იტყვიან, ბეწვის ხიდზე გავლა და ამაზრზენი ყბედებისგან დაუმსახურებელი საყვედურების მოსმენა მოუწიათ...

ყველაფერი, ცხადია, რუსეთისთვის უსასტიკესი სანქციების შემოღების მოთხოვნით დაიწყო. როგორც კი დასავლეთის ქვეყნები თავიანთი გეგმების შესახებ ალაპარაკდნენ, ადგილობრივმა ვაი-პოლიტიკოსებმა, როგორც ეს სჩვევიათ, მატარებლის წინ დაიწყეს სირბილი: მათ მოთქმებს თუ მივუგდებთ ყურს, ამ სანქციების შემოღებით საქართველოს უნდა ეჩვენებინა ყველაზე პრინციპული, ყველაზე უკომპრომისო, ყველაზე მომთხოვნი ქვეყნის მაგალითი. ერთი სიტყვით, „ყველაზე-ყველაზე მაგარი“ უნდა ყოფილიყო... სანქციები, თუკი ისინი შემოღებულ იქნება, ისევ ბუმერანგივით საქართველოს მოსახლეობას და ადგილობრივ მეწარმეებს შემოუბრუნდებოდათ, თუმცა პრემიერმა ღარიბაშვილმა ბარე ასჯერ მაინც მოუწოდა ოპონენტებს მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენისკენ, კვლავ და კვლავ უმეორებდა, რომ ქართული სანქციები რუსეთის შეკავების ეფექტიან საშუალებად ვერ იქცეოდნენ.

„რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ექსპორტმა ბოლო რამდენიმე მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ამასთან არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთში მილიონი ქართველი ცხოვრობს, რომელთა ფულადი გადმორიცხვების საშუალო წლიური დონე დაახლოებით 500 მილიონს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო 7-8 წლის მანძილზე, საქართველოს მოქალაქეებმა რუსეთიდან თითქმის 19 მილიარდი დოლარი გადმორიცხეს. ამასთან დაკავშირებით კითხვა მაქვს: თუკი ლაპარაკია სანქციების შემოღებაზე, რომელთა გამო, ფაქტობრივად, ქვეყნის მთელი მოსახლეობა დაზარალდება — მეღვინეები, ექსპორტიორები, გლეხები, კიდევ სხვები — მაშ, რა სურს ოპოზიციას? საკუთარი ხალხისთვის სანქციების დაწესება? მერედა, ვინ დაზარალდება ამით? რა თქმა უნდა, ისევ ჩვენი ხალხი! ჩვენ დიდი გულისყურით და თანაგრძნობით ვეკიდებით სხვა ქვეყნების ინტერესებს, მაგრამ პირველ რიგში საკუთარი ქვეყანა და ხალხი უნდა დავიცვათ“, — განაცხადა პრემიერმა.

ოპოზიციის შემდეგი მოთხოვნა იყო რუსეთთან საჰაერო სივრცის დახურვა. საქმე აქაც აბსურდამდე მივიდა. ამ საკითხში სიცხადის შესატანად, ბრიფინგი გამართა ვიცე-პრემიერმა **ლევან დავითაშვილმა.** მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს თავზე გადაფრენა ზოგიერთი მეზობელი და მეგრობარი ქვეყნისთვის რუსეთთან კავშირის ერთადერთი გზაა. ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ ამ საკითხისადმი მიდგომაში სახელმწიფომ უკიდურესი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და, გადაწყვეტილების მიღებისას, მეზობელ ქვეყნებთან სათანადო კონსულტაციები უნდა გაიაროს.

საქართველოს ომში ჩათრევის კიდევ ერთი მცდელობა იყო უკრაინაში მოხალისეთა გაგზავნის ამბავი, რომელსაც ხმაურიანი სამზადისი, ხმამაღალი განცხადებები და ათასნაირი პროვოკაციული სელფი ახლდა... საქართველოს ხელისუფლებამ არც ეს განზრახვა მოიწონა, რომლის აზრით, მოხალისეთა გაგზავნა შეიარაღებულ კონფლიქტში უშუალო მონაწილეობად შეიძლებოდა შეფასებულიყო, რა მიზეზითაც ამგვარ ქმედებაზე მანამდე უარი თქვა ბევრმა ქვყანამ, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა, პოლონეთმა, სხვებმა.

ამას უკმაყოფილების კიდევ ერთი ტალღა მოჰყვა — კვლავ ატყდა წივილ-კივილი ეროვნულ ინტერესების ღალატის თაობაზე. „ნაცმოძრაობის“ ოფისში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე, პარტიის შეფმა **ნიკა მელიამ** ხელისუფლების პოზიციას კოლაბორაციონისტური უწოდა და მოსახლეობას აქტიური პროტესტისკენ მოუწოდა.

„იმ დროს, როცა მთელი მსოფლიო რუსეთს სანქციებს უწესებს, საქართველო დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიცურავს, მთავრობის ხელმძღვანელმა, ჩვენი სახელით, უარი თქვა ქართველების ისტორიულ არჩევანზე, ამდენად ჩვენ უნდა გავარკვიოთ, თუ ვის წარმოვადგენთ ჩვენ და ვის — ბატონი ღარიბაშვილიო. ვფიქრობ, რომ იგი არავის არ წარმოადგენს, გარდა რუსეთის ინტერესებისა“, — ქადაგებდა მელია.

საქმე იქამდე მივიდა, რომ პარტია „დროას“ ლიდერმა **ელენე ხოშტარიამ,** რომელიც, როგორც ჩანს, სულ იმის მიზეზის ძებნაშია, ღამე როგორმე საკუთარი სახლის კედლებში, თავის ლოგინში კი არა, არამედ სადმე კარავში გაატაროს, რუსთაველის პროსპექტზე უკრაინის მხარდასაჭერად გამართულ მიტინგზე თავის თანამემამულეებს განუცხადა, რომ მთელ ღამეს პარლამენტის შენობის წინ გაატარებდა, რათა მეორე დილით ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობის ადმინისტრაციაში საკუთარ კაბინეტში არ შეეშვა.

„მოქალაქეთა ჯგუფთან ერთად ჩვენ მთელი ღამე პარლამენტთან გავატარეთ, თუმცა დილით ჩვენი გეგმები შეიცვალა“, — საზეიმოდ განაცხადა ხოშტარიამ.

საღ გონებაზე მოსვლისკენ ოპონენტებს მოუწოდა საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა. მან ყველა ის რისკი ჩამოთვალა, რომელთა პროვოცირება შეიძლება მოჰყვეს იმ დაუფიქრებელ მოქმედებებს, რომელთა განხორციელებისკენ ოპონენტები „ქართული ოცნების“ ხელისუფალთ სთხოვენ.

„მინდა შეგახსენოთ, რომ 2014 წელს, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრი იყო, საქართველო ყირიმის გამო რუსეთისთვის დაწყებულ სანქციებს შეუერთდა, რომლებიც ამჟამადაც მოქმედებენ. მაგრამ როცა საქმე ცალკეული ქვეყნის მიმართ დაწესებულ ინდივიდუალურ სანქციებს ეხება, გარკვეული რისკები ჩნდება. რატომ ჰგონიათ ზოგიერთებს, რომ მთავრობამ არ უნდა გაითვალისწინოს ის საფრთხეები, რომელთაგან მხოლოდ 40 კილომეტრი გვაშორებს? ისინი ხომ ავტობანიდანაც ჩანან! საიმისოდ კი, რომ მთელი საქართველო თავდაყირა დააყენოს, რუსეთს არავითარი დამატებითი მობილიზაცია არ სჭირდება, ისინი უკვე აქ არიან, ამიტომ ამისთვის სულ რამდენიმე წუთი დასჭირდებათ“, — უხსნიდა ოპონენტებს საგარეო უწყების თავკაცი.

თავისი პოზიცია მკაფიოდ გამოხატა „ქართული ოცნების“ პარტიის თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ**.

„მინდა გავიმეორო, რომ საქართველო სამხედრო კონფლიქტში არ ჩაებმება. ამის პირდაპირი მცდელობა უკვე იყო, როცა უკრაინაში მოხალისეთა გაგზავნას აპირებდნენ. ამას მოულოდნელად საქართველოდან უკრაინის ელჩის გაწვევა მოჰყვა, რაც დასანანია. საქართველოს მსგავს ფრთხილ პოზიციას დღესდღეობით ბევრი ქვეყანა იზიარებს, მაგრამ კიევს არც ერთი მათგანიდან ელჩი არ გაუწვევია. უკრაინა უმძიმეს მდგომარეობაშია. ბუნებრივია, რომ ამ მდგომარეობაში უკრაინის ხელისუფლების კრიტიკა არაკორექტული იქნებოდა, მაგრამ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რაც საქართველომ უკრაინას ბოლო დღეებში გაუკეთა, ეს გადაწყვეტილება მიუღებელია და გაუმართლებელი“, — განაცხადა კობახიძემ. მან იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ყველა ფორუმზე, სადაც კი უკრაინის საკითხი პრინციპულად დამდგარა, საქართველოს თავის პოზიცია მუდამ ყველაზე ქმედითი ხერხებით გამოუხატავს.

გაზი რძის წინააღმდეგ

იძნებ არ დაიჯეროთ, პატივცემულო მკითხველო, მაგრამ ახლა კი, უკრაინაში გაგანია საომარი მოქმედებების დროს, უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემის გავლით რუსეთული ცისფერი საწვავის მიწოდების საკითხი ყველაზე მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

„გაზპრომის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ რუსეთული გაზი ევროპული მომხმარებლებისგან მიღებული განაცხადის შესაბამისად მიეწოდება. ამდენად, ომის მიუხედავად, რუსეთული გაზის ტრანზიტი უკრაინის გავლით ევროპაში შეუფერხებლად ხორციელდება, რაშიც უკრაინა — ისევე, როგორც რუსეთი! — ვალუტას იღებს, რომლის ოდენობამ შარშან 49 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ახლა კი იმ აჟიოტაჟის შესახებ, რომელიც რუსეთის ვეტერინარული და ფიტოსანიტარული კონტროლის ფედერალური სამსახურის %როსსელხოზნადზორის) გადაწყვეტილებას მოჰყვა, რომელიც რძისა და რძის პროდუქციის 15 ქართველი მწარმოებლისგან პროდუქციის შესყიდვა გამოიწვია. ეს ინფორმაცია კიევში მტკივნეულად აღიქვეს და საქართველოსგან მოითხოვეს რუსეთთან სავალუტო ურთიერთობებზე საჯაროდ უარის თქმა, რადგან ამით ის უკრაინის მიმართ ომის საწარმოებლად სახსრებს იღებს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **ლევან დავითაშვილის** აზრით, კიევის ეს გადაწყვეტილება, პირველ ყოვლისა, ინფორმაციის უკმარისობითაა გამოწვეული.

„საქართველოდან რუსეთში რძის პროდუტქციის მიწოდების თაობაზე განაცხადი, რამდენიმე კომპანიამ ჯერ კიდევ 2020 წელს გაგზავნა. მას შემდეგ ამ საკითხზე არანაირი ლაპარაკი არ ყოფილა. მით უმეტეს ახლა, ომის პირობებში, საქართველოს რუსეთისთვის არანაირი დამატებითი შეკითხვებით არ მიუმართავს. იმაში კი, რომ როსსელხოზნადზორმა ქართულ კომპანიებს მხოლოდ ახლა უპასუხა, ჩვენი ბრალი არ არის“, — თქვა მინისტრმა.

მაშ, რა გამოდის? გამოდის ის, რომ ის ზემოთ ნახსენები 49 მილიარდი დოლარი, რომელსაც რუსეთი ევროპისთვის გაზის მიწოდების შედეგად — მათ შორის, უკრაინის ტერიტორიის გავლით! — იღებს, რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ ომის წარმოების საშუალებას არ აძლევს, ქართული არაჟანის, მაწონისა და ყველის ამ ქვეყანაში ექსპორტი კი ასეთ რესურს „უზრუნველყოფს“!..



ნამეტნავად უცნაური ლოგიკაა!..

ვადიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ მთავარი რედაქტორი

ქართულ ბანკებს უფლება აქვთ, რუსეთის და ბელარუსის მოქალაქეებს ანგარიშის გახსნაზე დაუსაბუთებელი უარი უთხრან

საქართველოს ეროვნული ბანკის 26 თებერვლის მითითებით, საქართველოში ლიცენზირებულ-რეგისტრირებულ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს რუსეთის ფედერაციის მიმართ აშშ-ის, ევროკავშირის და დიდი ბრიტანეთის მიერ დაწესებული სანქციების მოთხოვნებით ხელმძღვანელობა დაევალათ. ეს გულისხმობს, რომ ქართულ ფინანსურ ინსტიტუტებს ეზღუდებათ მომსახურების გაწევა იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომლებიც პირდაპირ არიან მითითებული სანქცირებულ პირთა სიებში.

თუმცა, რამდენიმე კომერციულმა ბანკმა იმ მოქალაქეებსაც, რომელიც სანქცირებულ პირთა სიაში არ არიან პირდაპირ მითითებული, არ უხსნის ანგარიშს და არ უწევს შესაბამის მომსახურებას, მათ შორის რუსეთის და ბელარუსის მოქალაქეებს.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რა რეგულაციები ვრცელდება რუსეთის და ბელარუსის არასანქცირებულ მოქალაქეებზე, რომლებსაც საქართველოში საბანკო ანგარიშების გახსნა სურთ.

საქართველოს კანონში კომერციული ბანკების შესახებ აღნიშნულია, რომ **„საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკს უფლება აქვს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს ანგარიშის გახსნაზე ან მომსახურების გაწევაზე. კომერციული ბანკი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას ანგარიშის გახსნაზე ან დაუხუროს არსებული ანგარიში, თუ იგი უარს აცხადებს კომერციული ბანკისთვის „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდებაზე“.**

შესაბამისად, ყველა კომერციული ბანკს უფლება აქვს, ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც სანქცირებულ პირთა სიაში არ არის პირდაპირ მითითებული, თავისი სურვილისამებრ გაუხსნას ანგარიში და მოემსახუროს, მიუხედავად აღნიშნული პირის მოქალაქეობის და რეზიდენტობისა, ან კლიენტს ანგარიშის გახსნაზე დაუსაბუთებელი უარი უთხრას.

როგორც ეროვნულ ბანკში განმარტავენ, მსგავსი მიდგომაა აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ევროკავშირსა და ყველა იმ ქვეყანაში, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს მიუერთდნენ.

რა რესურსის თავმოყრა შეუძლია რუსეთს უკრაინასთან ომში?!

თადარიგის პოლკოვნიკი გიორგი თავდგირიძე რუსეთ-უკრაინის ომში 18 დღეში რუსეთის დანაკარგებს და იმ რესურსებს აფასებს, რომლის მობილიზებაც პუტინს უკრაინასთან საბრძოლველად შეუძლია.

ეს სტატუსი მათთვის არ არის, ვისაც ჯერა, რომ პირამიდის სიდიდე და ჯარის რიცხოვნობა ბრძოლის ველზე მმართველის, ფარაონის, იმპერატორის ან პრეზიდენტის ნებასურვილზეა დამოკიდებული, ხოლო პირამიდის არქიტექტურა და ჯარის ბრძოლისუნარიანობა ფარაონის ან დიქტატორის მართვის სიმკაცრეზე. არაფრისგან, არაფერი იქმნება.

ბრძოლის ველზე ჯარის რაოდენობა და საბრძოლო უნარები (შესაძლებლობები) პროპორციულია მშვიდობიანობის დროს ჩადებული შრომისა და შექმნილი ინსტრუმენტების ეფექტიანობის. რა თქმა უნდა, ორივე კომპონენტის გაუმჯობესება ომის დროს შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის საჭიროა დრო, თანაც მნიშვნელოვანი დრო, რომელიც ომის მსვლელობისას მაშინ შეიძლება მიიღო, თუ რომელიმე კომპონენტით მოწინააღმდეგეზე რამდენჯერმე აღმატებული ხარ. უნარებსა და შესაძლებლობებში იგულისხმება ტაქტიკური გაწვრთნილობაც და უახლესი საბრძოლო სისტემები და ტექნოლოგიები. რუსებს დრო არა აქვთ, არც ახალი ჯარისკაცების გასაწვრთნელად და არც ახალი საბრძოლო სისტემების შესაქმნელად (შესყიდვითაც კი ვერ შეისყიდის).

რუსული არმიის საბრძოლო სისტემების (ტანკების, ქსმ-ის, არტილერიის, ავიაციის და ა.შ.) შესაძლებლობები ვნახეთ და ის არაფრით აღემატება უკრაინის არმიის ანალოგიურ საბრძოლო სისტემებს (ბევრ რამეში ჩამოუვარდება, მაგრამ ამ სტატუსის მიზანს შედარებები არ წარმოადგენს).

აგრეთვე, ვნახეთ ტაქტიკა და ოპერატიული დაგეგმარების ხელოვნება, სწორხაზოვანი, აღსრულების დაბალი ხარისხითა და მეორე მსოფლიო ომის დროინდელი მეთოდებით (ალბათ ამ შედარებისთვის მეორე მსოფლიო ომის მხედართმთავრები და მეთაურები შეურაცხყოფილი დარჩებოდნენ), მოკლედ „бездарность и серость“. რუსი ჯარისკაცების საბრძოლო შემართება, მოტივაცია და ბრძოლისუნარიანობა რბილად რომ ვთქვათ არ არის იმ სიმაღლეზე, რომ მნიშვნელოვანი უპირატესობა (პირიქითაც) მოუპოვოს რუსულ საომარ დაჯგუფებას.

დაგვრჩა რაოდენობა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არის 1 013 000 ჯარისკაცი. ამ ციფრის გაზრდა მეტნაკლებად მისაღებ დროში შესაძლებელია მხოლოდ მობილიზაციის შედეგად და სხვა არანაირად.

მილიონი ჯარისკაციდან: სამხედრო ქვედანაყოფებსა და შტაბებში 320 000 ოფიცერია, 230 000 საკონტრაქტო, 300 000 სავალდებულო სამხედრო მოსამსახურე, 70 000 კურსანტი; აგრეთვე 10 500 სამხედრო მოსამსახურეა სამინისტროს აპარატში, 11 300 გენერალურ შტაბში, 29 000 სარკინიგზო ჯარებში და დანარჩენი სხვადასხვა ქარხნებში, კვლევით ცენტრებში, კომისარიატებში და ა.შ. საინტერესოა, რომ პირველი შესხდვა ციფრებზე უკვე მძიმე სურათს გვაძლევს, 3.5 რიგითსა და სერჟანტზე ერთი ოფიცერი (ნორმალურია 10/1-ზე, დიდი არმიებისთვის მისაღებია 6/1-ზე) რაც შტატების არაოპტიმალურობაზე ან კადრირებული, არასაბრძოლო ქვედანაყოფების სიდიდეზე მეტყველებს, რაც არაპროპორციულად ამცირებს ბრძოლის ველზე გასაყვანი კონტიგენტის რიცხოვნობას.

მილიონი სამხედრო გადანაწილებულია ასე: სახმელეთო ჯარები — 280 000, საზღვაო — 150 000, ავიაცია — 16 500, სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ძალები 50 000, ვდვ (საავიაციო სადესანტო) 45 000; დანარჩენები გადანაწილებულია სამინისტრო, გენშტაბი, სასწავლო დაწესებულებები, ქარხნები, კომისარიატები და ა.შ. ჩვენთვის საინტერესო ორი ციფრია — სახმელეთო 280 000 და სადესანტო 45 000 ანუ, რუსეთს მობილიზაციის გარეშე, სახმელეთო ოპერაციაში უკრაინაში შეიძლება ჩართოს მაქსიმუმ 325 000-სიანი დაჯგუფება და არც ერთი ჯარისკაცით მეტი. ნუ თუ ომონს ან კადროვის სათამაშო (პოტეშნთე პოლკი) არმიას არ ჩავთვლით, არც უნდა ჩვთვალოთ. ისინი მშვიდობიანობის დროს მტერს უბრმავებენ თვალს და ომის დროს მოყვარეს.

325 000 ჯარისკაცი არის მაქსიმუმი, ოღონდ ქაღალდზე: როგორც რუსი ანალიტიკოსები წუწუნებდნენ და შფოთავდნენ, შტატის 35(ქვედანაყოფებში მიბმულია მათი განთავსების ინფრასტრუქტურას და ბრძოლაში ვერ მიყვება ქვედანაყოფს (ეს არის დაახლოებით ისეთი შტატები, როგორიცაა საწყობების, საბინაო სამსახურები, გათბობის, სტაციონარული სარემონტოების და ა.შ. მომსახურე სამხედრო პერსონალი), თანაც ამ შტატებზე ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული და მათი გამოყენება შეუძლებელია ბრძოლაში.

არ არის გაბუქებული 35 %-ი, მაგრამ ჩავთვალოთ რომ 10 % რჩება ადგილზე (32 500); გარდა ამისა არსებობს მიმდინარე არაკომპლექტი, კრიტიკული შეფასებით მიმდინარე არაკომპლექტი იყო 25 %, სამხედრო ანალიტიკოსები ამბობენ, რომ დაკომპლექტება ავიდა 85 %-ზე, შოიგუს მოხსენებით კი 92,9 % -ზე ავიდა (ალბათ ძალიან გაბერილია). ავიღოთ აქაც 10 % არაკომპლექტი, რომელიც ძალიან ოპტიმისტურია, მაგრამ ჯობია ცოტა გადავაფასოთ, ვიდრე ვერ შევაფასოთ (-32 500). გარდა ამისა, არიან ახალწვეულები, ჩავთვალოთ, რომ სადესანტო მხოლოდ საკონტრაქტოთია დაკომპლექტებული, მაშინ მივიღებთ, რომ სახმელეთოს 280 000 მესამედი, 93 000 არის სავალდებულო, რომელიც პუტინის ბრძანებით ომში არ უნდა წაიყვანონ) მესამედი იმიტომ, რომ ოფიცრები არიან შტატის 33%, ხოლო საკონტრაქტოს და სავალდებულოს რიცხოვნობა შოიგუს მოხსენებით შარშან გათანაბრდა, ანუ დარჩენილი 66 პროცენტი თანაბრად გაეყავით...

მივიღეთ, რომ თეორიულად სახმელეთო ოპერაციებისთვის, უკრაინაში შეიძლება გაეყვანათ 325 000 — 93000 — 32 500 — 32 500 I 167000 ჯარისკაცი, თუმცა ვითვალისწინებ რეალობას (ტყვედ ჩავარდნილ წვევამდელებს) და მაშინ მაქსიმალურ რიცხოვნობას მივიღებთ 259 000 კაცს. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთმა ყველა მიმართულება მოაშიშვლა და არც შორეულ აღმოსავლეთში, არც ჩრდილოეთ კავკასიაში არ დატოვა არც ერთი ქვედანაყოფი და აგრეთვე საზღვრებს გარეთ ბაზებიდან გაიყვანა სამხედრო მოსამსახურეები.

იმ შემთხვევაში კი, თუ 250 ათასიანი კონტიგენტი ჩართო რუსეთმა სახმელეთო ოპერაციებში, მისი დანაკარგი 46 000 ჯარისკაცი კრიტიკულია და კადროველები, 16 ათასი არაბი მოხალისე (ჯერ თეორიულად), ბელორუსიის ჯარი, მას დანაკარგების შესავსებად სჭირდება და არა შეტევის პოტენციალის გასაზრდელად (მაშინ სხვა, გაცილებით დიდ ციფრებზე უნდა იყოს ლაპარაკი). ქვედანაყოფების საბრძოლო დანაკარგი უკვე კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება, 10 დღეში 18 (-იდან არც ისე შორია 30(-ი, როდესაც ქვედანაყოფის ბრძოლისუნარიანობა იმდენად დაბალია, რომ მცირე ინტესივობის ბრძოლებშიც კი ან დავალებას ვერ ასრულებს ან დანაკარგები აქვს არაადეკვატურად დიდი.

მცირე დასკვნები: რუსები ვეღარ შეცვლიან ომის ხასიათს, ვეღარ ჩაიგდებენ სტრატეგიულ ინიციატივას ხელში, კიევის აღების შემთხვევაშიც (თუმცა კიევის ასაღები ძალა არ ჩანს), ვერ გაიყვანს ახალწვეულებს, რაკი მათი შემცვლელი არ ყავს და ამასთანავე მათი გაყვანა ქვედანაყოფების არაკომლექტს კიდე 30 პროცენტით გაზრდის, რაც კატასტროფა იქნება დაჯგუფებისთვის. თუ რუსეთმა 10-15 დღის განმავლობაში ვერ მიაღწია საზავო ხელშეკრულებას, ქვედანაყოფების დანაკარგი იმდენად დიდი იქნება, რომ თავდაცვაშიც ვერ გადავლენ, არაფერს ვამბობ ბრძოლით უკანდახევაზე, რომელიც ისედაც რთული ტაქტიკური ილეთია.

ამ პერიოდის შემდეგ უკრაინის არმიის ნებისმიერი შეტევა, რუსეთის არმიისთვის კატასტროფით დამთავრდება. გამოსავალი არის ან მობილიზაცია, ან დაქირავებული ჯარი, ან ბელორუსიის არმია; ოღონდა, მობილიზაციას ჭირდება დრო და რეზერვისტების წვრთნა, დაქირავებული ჯარი %თუნდაც არაბები) ნაკლებად სავარაუდოა, დაქირავებისთვისა და გადმოსროლისთვის საჭირო დროის სიდიდის გამო, თუ ეს უკვე არსებული ბოევიკები ან სირიის რეგულარული ჯარის ნაწილი არ იქნა და ამ შემთხვევაშიც, რამდენად მოახერხებენ ისინი რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ადაპტირებას და მათთვის უცხო ტაქტიკით მოქმედებას დიდ კითხვებს აჩენს. ბელორუსიის არმია, რამდენად მოტივირებული იქნება ბელორუსი ჯარისკაცი და რამდენ ხანს შეძლებს ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებას ბელარუსული ქვედანაყოფები? აქაც დიდი ეჭვია, რომ ეს არ იქნება სრულფასოვანი ჩანაცვლება რუსული ქვედანაყოფებისთვის. დროში ყველაზე სასურველი გამზადებული ბელარუსული არმიის გამოყენებაა, მაგრამ მხოლოდ დროში. რუსეთის არმიის მძიმე მდგომარეობა ჩვენ 250 000 ათასიანი კონტიგენტიდან გამოვიყვანეთ, მაგრამ ეს ყველაზე ოპტიმისტური ზედა ზღვარია და რეალობაში, რუსეთს კიდე უფრო მძიმე მდგომარეობა აქვს ბრძოლის ველზე, — წერს თადარიგის პოლკოვნიკი გიორგი თავდგირიძე.

პუტინის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში, ნატომ უნდა უპასუხოს!

თუკი რუსეთი გამოიყენებს ქიმიურ იარაღს უკრაინაში, შეიცვლება თამაშის წესები და ნატომ უნდა გადახედოს თავის პოზიციას უკრაინის კონფლიქტში ჩაურევლობის შესახებ — განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა **ანჯეი დუდამ** BBC-თვის მიცემულ ინტერვიუში.

დუდა აცხადებს, რომ რუსეთის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შემთხვევაში, ნატოს საპასუხო ნაბიჯის გადადგმა მოუწევს. პოლონეთის პრეზიდენტი ფიქრობს, რომ ვლადიმირ პუტინი უკან არაფერზე დაიხევს.

„თუ თქვენ მეკითხებით, შეუძლია თუ არა პუტინს, რომ გამოიყენოს ქიმიური იარაღი, ჩემი აზრით, მას შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი რამ, მით უმეტეს, როცა ის რთულ მდგომარეობაშია. მან უკვე წააგო ეს ომი პოლიტიკური თვალსაზრისით და სამხედრო თვალსაზრისითაც, ის აშკარად ვერ იმარჯვებს“, — განაცხადა პრეზიდენტმა დუდამ.

მანამდე, რუსეთის მხრიდან ქიმიური იარაღის შესაძლო გამოყენების შესახებ ილაპარაკა ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა. მისი თქმით, რუსეთი, თავისი განცხადებებით, შესაძლოა ქმნიდეს საბაბს უკრაინაში ქიმიური იარაღის გამოსაყენებლად.

სტოლტენბერგი ასევე აცხადებს, რომ ასეთი ფაქტი შეფასდება, როგორც ერთმნიშვნელოვნად სამხედრო დანაშაული.

უკრაინაში ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის კვალის აღმოჩენის შესახებ რუსეთის ხელისუფლებამ ლაპარაკი 9 მარტს დაიწყო, ხოლო 10 მარტს, რუსეთის შეიარაღებული ძალების რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური უსაფრთხოების ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა, იგორ კირილოვმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ უკრაინის ტერიტორიიდან რუსეთში სხვადასხვა სახის დაავადების შეტანა ფრინველების დახმარებით იგეგმებოდა.

რუსი სამხედრო ამბობს, რომ პროექტი აშშ-ის სამხედრო-ბიოლოგიური პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა და შესწავლილი ფრინველების 145 სახეობას შორის იყო ორი სახეობა, რომელთა მარშრუტიც **„უპირატესად რუსეთის ტერიტორიაზე გადის“.**

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა 10 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, იარაღის გამოყენების ფაქტების შესახებ არაფერი იცის, მაგრამ მაინც დარწმუნებულია, რომ უკრაინაში **„ტარდებოდა არამშვიდობიანი ექსპერიმენტი“**, გამიზნული **„ეთნიკურად ორიენტირებული“** ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად.

თეთრი სახლის პრესმდივნის, ჯენ საკის თქმით, **„შესაძლოა, უკრაინაში თავად რუსეთმა გამოიყენოს ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღი“**, ანდა სხვისი სახელით მოხდეს მისი გამოყენება.

საკი აღნიშნავდა ასევე, რომ სწორედ რუსეთი უჭერს მხარს სირიაში ასადის რეჟიმს, რომელმაც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ არაერთხელ გამოიყენა ქიმიური იარაღი და ასევე რუსეთი იყენებს ქიმიურ იარაღს პუტინის პოლიტიკური მეტოქეების წინააღმდეგ.

უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის არმია 24 თებერვალს შეიჭრა. რუსი სამხედროები უმოწყალოდ ბომბავენ საცხოვრებელ კორპუსებს, საავადმყოფოებსა თუ სამშობიარო სახლებს. უკრაინის ხელისუფლების ბოლო ინფორმაციით, დაღუპული ბავშვების რიცხვმა უკვე 85-ს მიაღწია.

ბოტანიკის „ათას ერთი ღამე“

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას საიუბილეო 80 წელი შეუსრულდა. დღეს მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ და პატივი მივაგოთ იმ რჩეულ ქართველ მეცნიერებსა და მამულიშვილებს, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ეროვნული მეცნიერების საქვეყნოდ წარმოჩენაში. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელი ლევან ივანეს ძე ჯაფარიძე, რომელსაც წელს სამეცნიერო მოღვაწეობის ასი წელი უსრულდება. მისი გარდაცვალებიდან კი 50 წელი გავიდა.

დიდი მეცნიერი 1905 წელს დაიბადა ქ. თბილისში, ცნობილი ექიმის ივანე (ვანო) ჯაფარიძის ოჯახში, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კახეთში. სწორედ თელავში მიიღო საშუალო განათლება მომავალმა მეცნიერმა. ლევანის დედა გახლდათ რუსი წარმატებული მრეწველის მიხეილ არხანგელსკის ქალიშვილი ვერა არხანგელსკაია, რომელიც ივანე ჯაფარიძემ ხარკოვში პედაგოგიური მოღვაწეობის დროს გაიცნო და მასთან შეესანიშნავი ოჯახი შექმნა.

1922 წელს ლევან ჯაფარიძე თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება, სწორედ სტუდენტობის დროიდან იწყება მისი მეცნიერული მოღვაწეობა. სწავლის პარალელურად მუშაობდა თბილისის ბოტანიკურ ბაღში, სადაც მას დიდი დახმარება გაუწია ბოტანიკური ბაღის მაშინდელმა ხელმძღვანელმა იულონ ლომოურმა. 1930 წლიდან ლევან ჯაფარიძე სწავლასა და მოღვაწეობას აგრძელებს მაშინდელი ლენინგრადის მემცენარეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში, მემცენარეობის ფიზიოლოგიის განხრით. 1930-1972 წლებში ლევან ჯაფარიძე სათავეში უდგას ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილებას. სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაინერგა ნამარხი მერქნის ანატომიურ-ჰისტოლოგიური კვლევის მეთოდი, მერქნის მასალიდან სხვადასხვა პრეპარატების შექმნა. ახალგაზრდა მეცნიერი მონაწილეობას იღებდა ივ. ჯავახიშვილის, ივ. ბერიტაშვილის, გ. ნიორაძის, ბ. კუფტუნისა და სხვა გამოჩენილი მეცნიერების კვლევებში.

1936 წელს მან გამოსცა მერქნის მცენარეთა მცირე ანატომია: პარალელურად იკვლევდა ვაზის რეგენერაციის, ჩაის ფოთლისა და ყლორტის, ხორბლის კულტურების ფესვთა ანატომიას, მათ მიკროქიმიურ შესწავლას, ვეგეტაციისა და გამრავლების პრობლემებს. მისი მონოგრაფია კოლექტიური ნაშრომის ტოლფასი იყო, რისთვისაც უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ლევან ჯაფარიძეს დისერტაციის დაუცველად მიანიჭა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო მისი სადოქტორო ნაშრომი **„სქესი მცენარეებში“** მსოფლიოს მეცნიერთა სამაგიდო წიგნად იქცა. ამ ნაშრომს მართლაც დიდი საერთაშორისო აღიარება და გამოხმაურება მოჰყვა. ცნობილმა აკადემიკოსმა დ. სოსნოვსკიმ მას ბოტანიკის **„ათას ერთი ღამე“** უწოდა.

ლევან ჯაფარიძის კალამს ეკუთვნის 130 სამეცნიერო შრომა და სტატია, უამრავი კვლევა და მონოგრაფია. 1953 წელს მისი ავტორობით მოსკოვში გამოიცა მიკროქიმიის პრაქტიკუმი, რომელსაც დიდი გამოხმაურება ჰქონდა საერთაშორისო წრეებში. ლევან ჯაფარიძე არჩეული იყო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბოტანიკური საზოგადოების ნამდვილ წევრად. უდიდესი წვლილი მიუძღვის მოსკოვში კ. ტიმირიაზევის სახელობის საკავშირო ინსტიტუტის შექმნასა და დაფუძნებაში, ისეთი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერების გვერდით, როგორებიც გახლდნენ დ. პრაშნიკოვი, ა. რიხტერი, ლ. ივანოვი, შ. ჩაილახინი, დ. საბონინი და სხვები.

1955 წელს ლევან ჯაფარიძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

იგი გახლდათ მეტად ერუდირებული, კეთილშობილი და განსაკუთრებული ორატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. მისი მრავალრიცხოვანი მოსწავლეები, ამჟამად ცნობილი მეცნიერები ერთხმად აღიარებენ მის თავმდაბლობას, სხვათა შრომის დაფასების უნარს, მოსწავლეთა და თანამშრომელთა ღვაწლის წინ წამოწევას, ნიჭიერი ადამიანების მიმართ გულისხმიერებასა და გვერდში დგომას. საყოველთაოდ ცნობილია და ლევან ჯაფარიძის კეთილშობილების დამადასტურებელია ცნობილი აკადემიკოსის ა. რიხტერის შეფასება: — **მე უკვე კარგა ხანია გიცნობთ, ვაკვირდები და ვიცი, რომ ჩრდილში გიყვართ დგომა, მაგრამ თქვენი საქმე თვითონ ბრწყინავს და გამხელთ თქვენ.**

ლევან ჯაფარიძე 1972 წლის 20 მარტს გარდაიცვალა 67 წლის ასაკში. მთელი ათი წელი სტანჯავდა ლეიკოზის ერთ-ერთი მწვავე ფორმა, მაგრამ სიცოცხლის ბოლო დღემდე ჯანმრთელობის გაუარესებას არად აგდებდა და ჩვეული ენერგიით, ახალგაზრდული ენთუზიაზმით აგრძელებდა სამეცნიერო საქმიანობას. გარდაცვალების წინა დღეც თავის მოწაფეებთან ერთად გაატარა, გაეცნო მათ შრომებს, იმედიანად ჩვეული იუმორით ესაუბრებოდა, გეგმებს სახავდა, რომ მათი განყოფილება ახალ შენობაში გადადიოდა და დავალებებსა და რჩევებს იძლეოდა.

დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლევან ჯაფარიძის მთელი ოჯახი ქართულ მეცნიერებას ემსახურებოდა და ემსახურება ახლაც. მისი და, ქალბატონი ნადია ჯაფარიძე გახლდათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ცნობილი ბიოლოგი. მისი მეუღლე ქალბატონი თამარ კეზელი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; სიძე სანდრო ლეონიძე ტექნიკის მეცნიერების დოქტორი, წლების მანძილზე სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, იგი პარიზში გარდაიცვალა და დაკრძალულია ვერსალში. ქალიშვილი ირა ჯაფარიძე მამის პროფესიას განაგრძობდა, გახლდათ ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, ამჟამად ცხოვრობს პარიზში, ქალიშვილთან ნატო ლეონიძესთან ერთად, რომელიც ფრანგული ფირმა „ლუი ვიტონის“ წამყვანი სპეციალისტი გახლავთ.

მალხაზ დოლიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი.



ტექნოლოგიური კომპანია ყველაზე ღრმა ხვრელების გათხრას გეგმავს, რომლებიც შესაძლოა, უშრეტი ენერგიის წყაროდ იქცნენ

„შერეკილები“ მიწისქვეშეთს უტევენ!

2020 წელს დაარსებულმა ენერგოკომპანია Quaise-მა სერიოზული ყურადღება ერთი საკმაოდ თამამი მიზნის გამო მიიპყრო — გეგმავს, დედამიწის ქერქში ისტორიაში ყველაზე ღრმა ხვრელი გათხაროს.

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიების ინსტიტუტის შვილეულ კომპანიას უკვე აქვს 63 მილიონი დოლარის ოდენობის კაპიტალი — საკმაოდ კარგი საწყისი იმისათვის, რომ გეოთერმული ენერგია შეიძლება მსოფლიოში უფრო მეტი ადამიანისთვის გახდეს ხელმისაწვდომი. კომპანიას სურს, დედამიწის სიღრმისკენ ტრადიციული საბურღი მეთოდებითა და მეგავატის სიმძლავრის სინათლით გაბურღოს, რაც ისეთი ტექნოლოგიებით არის შთაგონებული, რომლებმაც ერთ დღესაც, შესაძლოა, ბირთვული სინთეზი გახადოს შესაძლებელი.

განახლებადი ენერგიის წყაროების ძებნისას, გეოთერმული ენერგია თითქოს ყველას დაავიწყდა. მწვანე ენერგიის ბაზარზე ამჟამად მზისა და ქარის ენერგია დომინირებს და არავინ ახსენებს დედამიწის სიღრმეში არსებულ სითბოს უდიდეს მარაგს. მიზეზი ლოგიკურია. მიუხედავად იმისა, რომ სუფთა, უწყვეტი, უსასრულო ენერგიის წყაროა, მსოფლიოში ძალიან ცოტაა ადგილი, სადაც გეოთერმული ენერგიის მოპოვებისათვის შესაფერისი ქანები დედამიწის ზედაპირთან მოხერხებულად არის განთავსებული.

ამის გამოსასწორებლად, Qeaise მუშაობს ტექნოლოგიაზე, რომელიც დედამიწის ქერქში რეკორდული სიღრმის ხვრელების გათხრის საშუალებას მოგვცემს. ამჟამად, პლანეტაზე ადამიანის მიერ გათხრილი ყველაზე დიდი ხვრელის სიღრმე 12,3 კილომეტრია. ეს გახლავთ კოლის ზეღრმა ჭაბურღილი, რომლის თხრაც თავის დროზე იმის გამო შეჩერდა, რომ ტექნოლოგიურ შესაძლებლობათა ლიმიტი ამოიწურა.

უფრო ღრმად ჩასასვლელად საჭიროა მოიძებნოს გზა, როგორ ამოვიტანოთ ათობით კილომეტრის სიღრმიდან ზედმეტად ცხელი ქანები. გარდა ამისა, საბურღი ხელსაწყოები უნდა უძლებდეს 180 გრადუს ცელსიუსამდე ტემპერატურას. ამ სირთულეთა დაძლევის ერთ-ერთი ალტერნატივაა ნაკლები გაბურღვა და მეტი დაწვა. კომპანია Qeaise შექმნილია მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პლაზმის მეცნიერებისა და სინთეზის ცენტრის ბაზაზე; მისი მიდგომა მდგომარეობს ელექტრომაგნიტური რადიაციის მილიმეტრის სიგრძის ტალღების გამოყენება, რაც ატომებს ერთად შედნობას აიძულებს. მოწყობილობა, სახელად გიროტრონი ეფექტიანად გამოყოფს ელექტრომაგნიტური რადიაციის მუდმივ ნაკადებს, რისთვისაც, ელექტრონებს მაღალი სიჩქარით არყევს მძლავრ მაგნიტურ ველს შიგნით.

Qeaise ელოდება, რომ უახლეს საჭრელ იარაღებზე მეგავატის სიმძლავრის „გიროტრონის“ მიმაგრების შედეგად, დაახლოებით ერთი თვის ვადაში შეძლებს 20 კმ სიღრმემდე, უცხელეს ქანებამდე გაბურღვას. ამ სიღრმეზე, ქანების ტემპერატურა შეიძლება 500 გრადუს ცელსიუსსაც კი აღწევდეს, რაც საკმარისია იქ ჩასხმული წყლის ორთქლის მსგავს სუპერკრიტიკულ მდგომარეობაში გადასაყვანად, რაც შესანიშნავია ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად. საველე სამუშაოების დაწყებას კომპანია უახლოესი ორი წლის განმავლობაში ვარაუდობს, თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ელექტროენერგიის მწარმოებელი სისტემები მას შეიძლება უკვე 2026 წლისთვის ჰქონდეს. კომპანია იმედოვნებს, რომ 2028 წლისთვის შეძლებს ძველებურ, ქვანახშირზე მომუშავე თბოსადგურების ხელში ჩაგდებას და მათ ორთქლზე მომუშავეებად გარდაქმნის.

ექსპერტებს შორის ჯერ ბევრი კითხვაა იმის შესახებ, რამდენად გაამართლებს ეს ტექნოლოგია. ამჟამად, მსოფლიო ენერგიის დაახლოებით 8,3 პროცენტი ისედაც გეოთერმულ ენერგიაზე მოდის, ანუ ამარაგებს მსოფლიოს მოსახლეობის 17 პროცენტს.

მომზადებულია SceinceAlter-ის მიხედვით
მიხეილ ჭაბუკაშვილი

◎ ხალიჩაზე

ღირსეული ფინიში

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა კარგად დაწყებული ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატი კარგადვე დაასრულა და დასკვნით დღეს კიდევ 4 მედალი მოიპოვა.

125 კგ წონით კატეგორიაში „ოქროს“ **სოლომონ მანაშვილი** დაეუფლა. მან ბერძენი აზამატ ხოსონოვი (10:7) და აზერბაიჯანელი აიდინ აჰმადოვი (9:5) დაამარცხა, ხოლო ფინალში უნგრელ მილან კორშოგს 8:1 მოუგო და „ჯვაროსნებს“ მეორე ტიტული მოუტანა. უმაღლესი სინჯის გარდა, საქართველოს ნაკრებმა ტურნირის დასკვნით დღეს 3 ბრინჯაოც დაიმსახურა.

რამაზ თურმანიძემ (61 კგ) გადამწყვეტ შეხვედრაში ბულგარელი რაჰან რამისი 10:0 დაამარცხა. იგივე გააკეთა **ბაგრატ გაგნიძემ** (86 კგ), რომელმაც კვარცხლბეკისთვის ბრძოლაში სომეხ მჰერ მარკოსიანს 7:2 სძლია. ასევე მესამე ადგილი დაიკავა **დავით კოღუაშვილმა** 92 კგ წონით კატეგორიაში. ქართველმა მოჭიდავემ ჩრდილოეთ მაკედონიელი რეჯეპ ჰაიდარი 10:0 დაამარცხა.

ამრიგად, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი 2 ოქროს (გიორგი ელბაქიძე და სოლომონ მანაშვილი), 2 ვერცხლისა (გიორგი გეგელაშვილი და ევსემ შველიძე) და 3 ბრინჯაოს მედლით (რამაზ თურმანიძე, ბაგრატ გაგნიძე და დავით კოღუაშვილი) დაასრულა, ხოლო გუნდურ ჩათვლაში მესამე იყო.

შეგახსენებთ, რომ თავისუფალი სტილით ჭიდაობამდე ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გაიმართა და 10 ქართველიდან რვამ მედალი მოიპოვა — 4 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო.

◎ კვიცი გვარზე ხტის

მსაჯის ამპლუაში

საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ფარიკაობასა და პარაფარიკაობაში თათია აფციაური ამ დღეებში ეტლით მოსარგებლე მოფარიკავეთა საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიაში აირჩიეს, ეს კი, მოგეხსენებათ, დიდი აღიარება და პასუხისმგებლობაცაა.

გამოჩენილი რაპირისტის, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონის ვლადიმერ აფციაურის ქალიშვილმა ხმლით ფარიკაობაში საქართველოს ჩემპიონობა და პრიზიორობა კი მოასწრო ახალგაზრდებსა და უფროსებში, მაგრამ 20 წლისამ კარიერა დაასრულა და ორ შვილს უზრდის სამშობლოს, თუმცა სპორტის საყვარელ სახეობას უკვე მსაჯის ამპლუაში ემსახურება.

სერბეთის ქალაქ ნოვი სადში გამართული კადეტთა ევროპის ჩემპიონატიდან ახლახან დაბრუნებული თათია აფციაური თანამემამულეთა წარმატებებითაც გულითადად ხარობს და ალალად გვეუბნება:

„ტოკიოს შარშანდელი პარალიმპიური თამაშები ჩემთვის დაუვიწყარია. იაპონიაში მიმავალს მჯეროდა, რომ ჩვენი პარამოფარიკავეები მედალს აუცილებლად მოიპოვებდნენ და ბედნიერი ვარ, ვერცხლის პრიზიორმა ნინა თიბილაშვილმა ოცნება რეალობად რომ გვიქცია. დარწმუნებული ვარ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ირმა ხეცურიანიც კიდევ ბევრჯერ გვასახელებს“.

◎ პერსპექტივა

ტრადიციები ავალდებულებთ

უპირველესთაგანი, ვინც ქართული საკლუბო ფეხბურთის უმაღლესი ეშელონი დააობლა, „რუსთავია“. დიახ, ძნელი მოსანელებელია „კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგა უახლოეს წარსულში ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი გუნდის გარეშე, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ქვემოქართლელები (რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი გია ტუხაშვილი) მალე დაუბრუნდებიან ელიტას, სადაც ტრადიციებისა და იქაურთა საფუძვლიანი ამბიციების გათვალისწინებით მათი კუთვნილი დამსახურებული ადგილია.

ეს რომ ფუჭი ოპტიმიზმი არაა, ბოლოდროინდელი სასიკეთო პროცესები მოწმობს, რომლებიც პარალელურად ვითარდება როგორც უშუალოდ ეროვნული ლიგა-2-ის ბინადრის შიდა სამზარეულოში, ისე მის ირგვლივ — კერძოდ, ქალაქის „ფოლადის“ სტადიონთან მიმართებაში. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოდით, საუბარი ამ უკანასკნელით დავიწყოთ.

რუსთავის ახალარჩეული მერის **ნინო ლაცაბიძის** წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად, მარტშივე გამოცხადდება ტენდერი და წელსვე ჩაუტარდება სრული რეკონსტრუქცია როგორც მთავარ სარბიელზე განთავსებულ ბაზას, ისე სასადილოს, ხოლო შემდეგ გადაიჭრება მოედნის სარწყავი წყლით მომარაგების პრობლემაც.

ბუნებრივია, ქალაქის საგაისო ბიუჯეტიდან გამოიყოფა ის თანხა, რომელიც ტრიბუნებისა და გასახდელების კეთილმოწყობა-განახლებას მოხმარდება, ხოლო ყველაფერი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების შემდეგ არენის ყანის მსგავსი ხელოვნური საფარის შეცვლით დაგვირგვინდება, რასაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია განახორციელებს. კურიოზია, მაგრამ ფაქტია — 21-ე საუკუნეში რუსთაველი გულშემატკივრები 13(!) წლის განმავლობაში ელოდნენ „ფოლადზე“ ბუნებრივსაფარიანი მინდვრის აბიბინებას!

რაც შეეხება მოქმედ პირებსა და შემსრულებლებს, როგორც კლუბის სტრუქტურაში, ისე გუნდის სამწვრთნელო შტაბში ახლახან დაინიშნენ ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრები, შესაბამისად — სპორტული დირექტორი **ბაჩანა კახის ძე ცხადაძე** და **ვალერი აბრამიძე**.

საკმაოდ ახალგაზრდული ძირითადი ბირთვის ასაკის გათვალისწინებით (პაატა კიტეიშვილი, ავთანდილ გუჯაბიძე, გიგა სამხარაძე, გიორგი სამადაშვილი, გურამ ლუკავა, გოგი კულუა) თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „რუსთავის“ თავკაცი **არმაზ ჯელაძე** მომავლის გუნდს ავარჯიშებს, თუმცა ტალანტი არც მათზე უმცროს ჭაბუკ და პერსპექტიულ ახალწვეულებს აკლიათ. დარწმუნებულნი ვართ, დიმა შარიქაძე, ავთო კაპანაძე, გიორგი მირზიკაშვილი, ზაურ სიჭინავა, მიხეილ ქოჩაკიძე, ლუკა ქემოკლიძე, ტატო თედიაშვილი, გურამ მიხეილის ძე ყაველაშვილი, აგრეთვე დავით საჯაია და სამხრეთაფრიკელი ბანტუ მზვაკალი ღირსეული დებიუტით აღნიშნავენ მიმდინარე სეზონს.

როგორც შევიტყვეთ, გუნდის გაძლიერება სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიდევაა მოსალოდნელი.

◎ ფარეშვეშ

არის წინსვლა!

საქართველო 2 საფეხურით დაწინაურდა ფიბა-ს განახლებულ რეიტინგში, რომელშიც 2023 წლის მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის თებერვლის თამაშების შედეგებია გათვალისწინებული, სადაც ილიას ზუროსის **გაწვრთნილმა „ჯვაროსნებმა“ ორივე მატჩი მოუგეს ჩრდილოეთ მაკედონიას.**

ასე რომ, მომავალი ფორუმის მე-2 ჯგუფური რაუნდის საგზურის ვადამდე მოპოვებით პლანეტაზე 301,5 ქულით (+16,8) 36-ე, ხოლო ევროპაში მე-18 გუნდი გავხდით. რაც შეეხება ჩვენს მეტოქეებს, ესპანეთი მხოლოდ აშშ-ს ჩამორჩება და მეორეა, უკრაინა 32-ე ადგილზეა, ჩრდილოეთ მაკედონია კი — 53-ე პოზიციაზე. დავძენთ, რომ ფინიშზე 1 ივლისს კიევში უნდა ვითამაშოთ, ხოლო 4 ივლისს — თბილისში პირნეელებთან.

◎ ხუთი რგოლი

საკუთარ კედლებში

სამამულო ომის პარალელურად, უკრაინის დელეგაციამ ჩინებულად იასპარეზა პეკინში დასრულებულ ზამთრის პარალიმპიურ თამაშებში და გუნდური მეორე(!) ადგილი დაიკავა, გამარჯვება კი დიდი უპირატესობით მასპინძლებმა მოიპოვეს.

საუკეთესო ხუთეული

ჩინეთი — 61 (18, 20, 23), **უკრაინა** — 29 (11, 10, 8), **კანადა** — 25 (8, 6, 11), **საფრანგეთი** — 12 (7, 3, 2), **აშშ** — 20 (6, 11, 3).

როგორც ყველა ფორუმს, აღნიშნულსაც ჰყავდა გმირები: **იესპერ პედერსენი (ნორვეგია, სამთო თხილამურები) — 4 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“; ოქსანა მასტერსი (აშშ, პარაბიატლონი, სათხილამურო რბოლა) — 3 „ოქრო“, 4 „ვერცხლი“; ოქსანა შიშკოვა (უკრაინა, პარაბიატლონი, სათხილამურო რბოლა) — 3 „ოქრო“, 2 „ვერცხლი“; მომოკა მურაოკა (იაპონია, სამთო თხილამურები) — 3 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“; არტურ ბოშე (საფრანგეთი, სამთო თხილამურები) — 3 „ოქრო“, 1 „ბრინჯაო“.**

◎ რინგზე

ცნობები ბალკანეთიდან

19 ძვირფასი 111 წარმომადგენელი მონაწილეობდა მონტენეგროს ქალაქ ბუდვაში გამართულ მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირში — „ადრიატიკის ზღვის მარგალიტი“, მათ შორის — 11 „ჯვაროსანი“ (მთავარი მწვრთნელი შალვა დუნდუა, მწვრთნელი — გოჩა რუსია).

აღსანიშნავია საქართველოს ნაკრების წარმატება, რომელიც სამშობლოში ბალკანურ რინგზე მოპოვებული 6 მედლით დაბრუნდა:

„ოქრო“ — თათია ბუკია (75 კგ), გორ აივაზიანი (51 კგ); **„ვერცხლი“** — გიორგი დეკანოზიშვილი (86 კგ), ტარიელ შარიქაძე (+92 კგ); **„ბრინჯაო“** — გოჩა გორდულავა (60 კგ), მეჰმან ნამაზოვი (67 კგ).

დავძენთ, რომ მეზობელ ხორვატეთში დაწყებულ 22-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე პირველი გამარჯვება მოიპოვა 63,5 კილოში მოასპარეზე **ლაშა გაგნიძემ** (გუნდის მთავარი მწვრთნელი — **თემურ ოჩიგავა,** ექიმი — **დავით შამათავა,** მსაჯი — **ედუარდ მარდანოვი**).

◎ ნამცვრევი

ფრთები

უკვე კნუტს ვეღარ დაარქმევდი, ერთიანად შავად აპრიალებული, ნაზმეწვიანი ფისუნია ორსართულიანი სახლის სახურავიდან თითქოს საგანგებოდ მისთვის გაწვდილ ტოტს მკვირცხლად შეასკუპდა, ფრთხილად ჩამოსრიალდა ხორკლიანი ხის ტანზე, პირველი სართულის აივანზე ზმორებით გამოიარა და დივან-საწოლზე ნებიერად წამოწოლილს, მუცელზე უბოდიშოდ ამომახტა.

ბედის დაცინვაა, მთელი სიცოცხლე შავ კატას ვუფრთხოდი, ახლა კი, ლამის მეგობარი გამიხდა...

ბორჯომის თვალწარმტაც ხეობაში საგანგებოდ შერჩეულ, უკეთეს ადგილს რომ ვერ ინატრებ, საზაფხულოდ პატარა ხეხილიანი სახლ-კარი შევიძინეთ. იქვე ასხლეტილი უშველებელი მთა, გვერდით მოჩუხჩუხე ნაკადული, უკან – მტკვარი, ლამის საუკუნეს მიღწეულს, უფალმა სიცოცხლის საზღაურად მიბოძა...

მზემ, ეს-ეს არის თავწამახული, ერთიანად ტყით შებურული ქედი გადმოვლო, ოქროვანი სხივები ჯერ მოკრძალებით ჩამოფინა, მერე ხასხასა, მწვანე მოლს მძივებად აპკურა.

სიმყუდროვისგან მისალულად შემზადებული ქუთუთოები კატამ დამიფრთხო. უცნაურად მუქ-მოყვითალო თვალები თვალში გამიყარა, თითქოს მოსინჯა, ხომ არ შემომწყრებაო, რაკი ხიფათი ვერ იგრძნო, ამჯერად გვერდზე ამოიცქაფა და ზედ გულთან დამაწვა.

სულ რაღაც ორი თუ სამი თვის წინ, შეღამებულზე, კაკლიანეთში მოსეირნე, კნუტის საცოდავმა კნავილმა შემძრა, იქვე ვიღაცას გადაეგდო, შიმშილისაგან ძალმილეული, სიცოცხლის გადასარჩენად კნავილსღა ახერხებდა. რა გული გამიძლებდა, ხელი დავავლე და შინ წავიყვანე, სასწრაფოდ რამდენიმე ყლუპი რძე რომ დავალევინე, თვალები მილულა და მიიძინა. მისი მშვიდი, საოცარი რიტმული კრუტუნი, თითქოს საათის ისრების ხმას აყოლილი, როგორღაც მიამებდა სიცოცხლის წუთებს.

აკი მკერდში მინამული გულიც შეთრთოლდა, შეტკბა. სხეულშიც სითბო ჩაიღვარა, თვალებიც ისევ საძილედ გაინაბებოდნენ, რომ არა ჩიტი. მთის ლამაზი არსება. კოპწია, წითელი ნისკარტი შუბივით მაღლა შემართა და წამიერად გაინაბა. მერე მუქ-ლურჯი ფერებით ბუმბულალივლივებული, ხიდან ხეზე გადაფრინდაო – პოეტმა რომ თქვა, მოგვიანებით დაბლა დაეშვა, მოლზე წაგოგმანდა, სკუპ-სკუპით, არდარიდებით. წვრილ ღეროებზე მძივივით ასხმული მზენასვამი მარცვლები აკენკა, ალბათ ეტკბილა, თან ნისკარტი მაღლა შემართა, თითქოს მზის ცვარ-ცვარი ვერცხლი შეისრუტა, ნექტარიც დააგემოვნა.

რაც თავი მახსოვს, ფრინველთ შევნატრი. ოჰ, ეს ფრთები... კი, თვითმფრინავი, დირიჟაბლი, საჰაერო ბურთი ფრენის სხვა საშუალებები ჩვენს გიჟურ საუკუნეში პრობლემა როდია, და მაინც სულ სხვაა საკუთარი ფრთები.

კაცი მიწას მიჯაჭვული რომ არ იყო, ოცნებას ლაღად გაეკიდო, სამყაროში გაინავარდო, სივრცეს დაეუფლო, საკუთარი ფრთები უნდა გქონდეს... ჰოდა, ამ ჩიტს შურის თვალით ამადაც მივჩერებოდი.

ანაზდად მკერდზე, ძილში მოკრუტუნე კატა, რომ მეგონა ღრმად თვლემდა, როგორღაც შეტოკდა, შეცქვიფდა, მერე ფრთხილად გადმოხტა, დაბლა ცუხცუხით გაირბინა, აივნისწინა დაბალ ზღუდეს გადაევლო და მოლზე მუცელზე ხოხვით გაიარა. აშკარა იყო, ჩიტს ეპარებოდა, თუმცა რა, ჩიტი ხომ ფრთხილია... თავი აწია, კისერი აქეთ-იქით შეატრიალა, გარემოს მიუყურადა, საფრთხე რომ ვერ იგრძნო, კვლავ ბალახი მოკენკა...

კატა ისევ ფრთხილად მიხოხავდა, მერე რა, გამეცინა კიდეც, არაფერი გამოუვა-მეთქი.

თითქოს რაღაც ავმედითი იგრძნოო, ხიფათი იგუმანა, ჩიტმა ფრთები გაშალა, აფრინდა კიდეც, იმავ წამს კატამ ავაზისებური ნახტომით თათები უწვდინა, იქვე ჩაბღუჯა, ბრჭყალებით შეათამაშა.

გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, ასეთი რამ ვერ წარმომედგინა, როგორღაც მოჯადოებული მივაჩერდი ავმედით სურათს, უფრო კინოკადრს მინამგვანს, თუ როგორ გაუშვებდა ჩიტს კლანჭებიდან, ისიც შეფრინდებოდა, თავგანწირვით შეფრთხიალდებოდა, საცაა თავს უშველისო, მაგრამ კატა ისევ შეხტებოდა, ორივ თათს მიუწვდენდა, ჩაბღუჯავდა, აბურთავებდა, მერე ისევ გაუშვებდა.

ცხადზე ცხადი იყო, ცბიერი კატა თავისი მონადირებულის სიკვდილ-სიცოცხლით ერთობოდა, წუთების წინ, ლაყვარდშეთამაშებული ფრთოსნის, ასე ვერაგულად მოხელთებულის უსუსურობით ტკბებოდა.

გულმა ვერ გამიძლო, შემებრალა საცოდავი ფრინველი, წამოვხტი, ეგრევე ჯოხს მივწვდი და კატას გამოვენთე.

თავისუფლებანაგრძნობი ჩიტი კი შეფრთხიალდა, როგორღაც მიწას მოსწყდა, მაგრამ სადღა იყო წეღანდელი სილაღე, სინარნარე, ფრთებს მაინც მიეძალა, იქვე ვაშლის ხის ტოტზე აფრინდა, ჩამოჯდა, თუმცა ცხადი იყო, დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა.

გაბრაზებული კატა კი, ახლა უკვე მრისხანე, ჩაშავებული თვალებით მომაჩერდა და სადღაც გაიძურწა.

არადა, ვერ წარმოვიდგენდი, ეს თაგვჭამია კატუნია ცაში მონავარდე ფრინველს ასე ულმობლად თუ მოეპყრობოდა...

გივი ჯაახუა

7 კილოგრამი „კოკაინი“ ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში სხვადასხვა დროს ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედების შედეგად, თბილისში ნარკოდანაშაულისთვის 4 პირი დააკავეს და უკანონო ბრუნვიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 7 კილოგრამამდე „კოკაინი“, ასევე, სხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები ამოიღეს.

„დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობისთვის დაკავებულები არიან: უცხო ქვეყნის მოქალაქე, 2001 წელს დაბადებული დ. ს., ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1991 წელს დაბადებული დ. ბ., 1998 წელს დაბადებული ლ. კ. და 1962 წელს დაბადებული ზ. ლ.

დანაშაული 5-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა, დ.ს.-ის დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 5 კილოგრამზე მეტი „კოკაინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ასევე ამოღებულია მის მიერ სარეალიზაციოდ განთავსებული 30 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“. რაც შეეხება დ.გ.-ს, მისი პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო 223 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“. სამართალდამცველებმა ასევე ნივთმტკიცებად ამოიღეს ბრალდებულის მიერ შემდგომი გასაღების მიზნით ერთ-ერთ მისამართზე განთავსებული 40 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბრალდებული ლ.კ.-ის პირადი ჩხრეკისას, 30 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ ამოიღეს. სულ სამართალდამცველებმა ამოიღეს 7 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“. ამოღებული ნარკოტიკის ღირებულება ეწ. შავ ბაზარზე დაახლოებით 7 მილიონამდე ლარს შეადგენს.

ოზურგეთის მერიას „ალტ-ინფოსთვის“ ოფისი არ მიუცია!

ოზურგეთის მერიას ორგანიზაცია „ალტ-ინფოსთვის“ საოფისე ფართი არ გადაუცია და არც ქირავნობაზე გაუცია. „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი წარმომადგენლების განცხადებები, თითქოს ოზურგეთში, ჭავჭავაძის 12 ნომერში მდებარე ფართი (რომლის დაქირავებაც სავარაუდოდ, ორგანიზაცია „ალტ-ინფოს“ სურდა) ეკუთვნის მერიას – არის სრული სიცრუე და დეზინფორმაცია.

სინამდვილეში, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამოქვეყნებული საკუთრების დამადასტურებული დოკუმენტი, ჭავჭავაძის 12-ში მდებარე სხვა ფართს ეხება.

ვასაჯაროვებთ ამის დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტებს და ფოტოს. ოზურგეთის მერიას აღნიშნული საკუთრება ორგანიზაცია „ალტ-ინფოსთვის“ არც გადაუცია და არც ქირავნობაზე გაუცია თანხმობა“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

სულთათანა

და დარჩა ნაღვაწი, კეთილი ხსოვნა...



ჩვენი ხშირი სტუმარი იყო, ჩვენი რედაქცია დიახაც, ეძვირფასებოდა მაგრამ, ეს ერთი ხანობა, ნაკლებად ვხედავდით ბატონ გიორგი ნაჭყებიას. ვიცით, რომ ყოჩაღად იყო, თუმცა, წელთა სიმრავლის გამო ეტყობა, მაინც უკადრისობდა ძველ ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრას ამაყი კოლხი (ვაითუ, ძველებურად აღარ ელავდეს „თვალნი ქორებულ მხედველნი“), ხომ გაგიგონიათ, ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, ჩემი სიბერე ღმერთმა ნუ ანახოსო... ჰოდა, უფრო ხშირად, ბოლოს შინ იყო, და მოგონებებს წერდა და წარსულის ფერებაში 94 წელსაც მიუკაკუნა.

გიორგი ნაჭყებია ძველი თაობის კაცი, გაგანია კომუნისტურ ეპოქაში, პარტიულმა ნომენკლატურამ, თანამდებობამ, სხვადასხვა დროს რაიკომის მდივნობამ თუ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის უფროსობამ, „წონასწორობა“ ვერ დააკარგვინა, ხოლო, შინაგანად, მთავარ საქმედ, ყოველთვის ქართული სიტყვის, ქართული ჟურნალისტიკის მსახურება მიაჩნდა. და ის წლებიც – გაზეთ „კომუნისტში“ მოღვაწეობა, განყოფილების გამგეობა თუ რედაქტორის პირველი მოადგილეობა, რა თქმა უნდა, ყველაზე სასიამოვნო მოსაგონარი იყო. ბატონი გიორგისთვის... ის იყო კოლეგებისა და მეგობრების ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, გვერდში მდგომი, უანგაროდ მრავალ კეთილ საქმეთა აღმსრულებელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გულმხურვალე პუბლიცისტი, სასიქადულო ოჯახის უფროსი.

ერთ-ერთი ბოლო მცირე, მოსაფერებელი სტრიქონებისთვის 25 წლის წინათ გადაღებული ფოტოსურათი გამოგვიგზავნა თავისი საფიცარი ვაჟიშვილის ხელით (აქაც მიგვანიშნა, 70 წლისა სხვა „ბიჭი“ ვიყავიო).

დახედა ერთმა თანამშრომელმა სურათს და თვალებში სითბოჩამდგარმა ჩაილაპარაკა: „მაგარი კაცი იყო“, დახედა მეორემ და, მანაც, ასევე: „ო, რა კაცი იყო“.

იყო და აღარ არის! მაგრამ დარჩა დიდი ნაღვაწი, კეთილი ხსოვნა...

ღმერთმა გაანათლოს!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

ჯუმბერ პატიაშვილი, ნოდარ ჭითანავა, ნუგზარ ფოფხაძე, ბაკურ გულუა, ოთარ ჭითანავა, რაულ ჩილაჩავა, თორნიკე აფაძიძე, ანზორ ბურჯანაძე, გრიგოლ ონიანი, რაულ ჯახია, დემიკო ლოლაძე, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, სპარტაკ ძობულია, ოთარ ხუციშვილი, ზაურ ნაჭყებია, მამუკა ვაშაკიძე

მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

გიორგი ნაჭყებია

რომელიც წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურა ქართულ საქმეს, ქვეყანასა და ხალხს.

წლების განმავლობაში იყო მეოცე საუკუნის წამყვანი ქართული გაზეთის მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე, წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი, „მთავლიტის“ უფროსი...

სადაც კი უმოღვაწია, ყველგან იჩენდა მაღალპროფესიონალიზმს, პრინციპულობას, უანგარობას.

სწორედ ასეთ ღვაწლმოსილ ადამიანზეა ნათქვამი, წავიდა და დატოვა ნათელი კვალი.

სანთელი

ზაურ ლეჟავა

იშვიათად გვეგულება ადამიანი, რომელმაც ამდენი სითბო და სიყვარული დაუტოვა საზოგადოებას, სამეგობროს. მისი დაბადების დღე 16 მარტია და ყოველთვის გავიხსენებთ ამ არაჩვეულებრივად კეთილშობილ პიროვნებას.

აცხონოს ღმერთმა.

მეგობრები

ვულოცავთ!

იური ოსიპოვი – 85

დღეგრძელობა და ჯანმრთელობა გვინდა ვუსურვოთ ბატონ იური ოსიპოვს — იგი 85 წლისა შესრულდა — საქართველოს პურპროდუქტების ყოფილ მინისტრის მოადგილეს, ღირსეულ და უმაღლესი რანგის პროფესიონალს, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის საპატიო თავმჯდომარეს, მრავალი მედლისა და ჯილდოს მფლობელს, ღირსების ორდენოსანს, შესანიშნავ მეოჯახესა და ბაბუას.

კოლეგები და მეგობრები: ლევან ჯიბუტი, მალხაზ დოლიძე, გივი ცაგარელი, ზურაბ კუპრაშვილი, ჯემალ კალანდაძე, ომარ კაჭარავა.

ხარკოვის თავშესაფარში ქართველი დაიბადა

ხარკოვში, ქართულ-უკრაინულ ოჯახს საბრძოლო მოქმედებების დროს, თავშესაფარში ვაჟი შეეძინა. „იმედის კვირა“ პატარა ქართველის ოჯახს ლვოვში შეხვდა.

ხარკოვში, საბრძოლო მოქმედებების დროს დაბადებული დავით ბუსკანძე საქართველოში ოჯახთან ერთად მალე დაბრუნდება. ის 10 დღის წინ საჰაერო დაბომბვების დროს, თავშესაფარში დაიბადა.

„ყველგან ჭურვები ცვიოდა, ყველანი სარდაფს ვაფარებდით თავს. არ ვიცოდი, ტკივილისთვის გამეძლო, თუ უსაფრთხოებაზე მეფიქრა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა. ძალიან მინდა, რომ ჩემი შვილი უსაფრთხოდ გაიზარდოს. იმედი მაქვს, ასეც იქნება“, — განაცხადა დავით ბუსკანძის დედამ, ტატიანა ბუსკანძემ. ახალშობილის მამის, რომან ბუსკანძის თქმით, რუსეთი საქართველოსა და უკრაინაში განხორციელებული ქმედებებისთვის აუცილებლად პასუხს აგებს.

„პატარა დავით ბუსკანძის ისტორია, ალბათ მთელმა მსოფლიომ გაიგო. ჩვენ მის ოჯახთან მუდმივ კომუნიკაციაში ვიყავით. შევძელით, რომ ოჯახი ლვოვში ჩამოსულიყო და ბავშვის სამგზავრო დოკუმენტი გაგვეცა. ოჯახი ვარშავიდან ლვოვში 15 მარტს გადავა“, — განაცხადა საქართველოს ვიცე-კონსულმა კიევში, ტარიელ ყიფშიძემ. მისივე თქმით, ვარშავაში ასევე საელჩოს დახმარებით ოჯახი საქართველოში მშვიდობიანად დაბრუნდება.

სიმსივნით დაავადებულ უკრაინელ ბავშვს ბრიტანელები უმკურნალებენ

დიდ ბრიტანეთში, უკრაინიდან, სიმსივნით დაავადებული 21 ბავშვი ჩაიყვანეს. როგორც ბრიტანეთის ჯანდაცვის მინისტრი აცხადებს, გაერთიანებული სამეფოს სხვადასხვა საავადმყოფოში, ისინი საუკეთესო ექიმების ხელში იქნებიან..

ოფიციალური ინფორმაციით, ბავშვებსა და მათი ოჯახების წევრებს პოლონეთი დაეხმარა და მათთვის საგანგებო საჰაერო რეისი შესრულდა. ერთ-ერთმა პოლონელმა ონკოლოგმა განაცხადა, საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნიდან უკრაინაში ჩაყვანილი დაავადებული ბავშვების უმეტესობა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იყო.

მსოფლიო პატრიარქი ომის დაუყოვნებლივ დასრულებას ითხოვს

კონსტანტინოპოლის პატრიარქის ბართლომეოსის თქმით, მსოფლიო ხედავს უკრაინელი ხალხის ტრაგედიას და აღფრთოვანებულია მათი სასტიკი წინააღმდეგობით უსირცხვილო დამპყრობლის წინააღმდეგ.

„ჩვენ ასევე მოხარულნი ვართ, რომ ვხედავთ რუსეთის მოქალაქეების გაბედულ რეაქციას სისხლისღვრაზე. ჩვენ მოვუწოდებთ, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ცეცხლი ომის ყველა ფრონტზე. ძალადობა და ომი არა მხოლოდ არ წყვეტს უთანხმოებებს, არამედ იწვევს ტკივილსა და სიკვდილს და ქმნის უფრო რთულ პრობლემებს. შეჭრა და ომი ახლავე უნდა დასრულდეს და უნდა მიეცეს ახალი შესაძლებლობა დიალოგს. ომი არის საერთაშორისო სამართლის დარღვევა, რომელიც ახლა მშვიდობის კანონია“, — განაცხადა პატრიარქმა ბართლომეოსმა.

რუსები ტაძრების აფეთქებაზე გადავიდნენ

„ისინი არ არიან სამხედროები, ისინი არიან ბარბაროსები, არაადამიანები, მიზანმიმართულად ანადგურებენ უკრაინის მშვიდობიან ქალაქებსა და სალოცავებს. რუსეთი ანადგურებს ყველაფერს, მაგრამ ის ვერასდროს გაანადგურებს ჩვენს რწმენას და ხელს ვერ შეგვიშლის უკრაინის დაცვაში“,

— აცხადებს უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრო. ჟიტომირის ოლქში, სოფელ ვიაზივკაში, გაანადგურეს 1862 წელს აშენებული ღვთისმშობლის შობის ეკლესია. ხარკოვის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, რომელსაც ადგილობრივები აფარებდნენ თავს, ხელყუმბარა შეაგდეს.

„ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი გადაურჩა ბოლშევიკებსა და მეორე მსოფლიო ომს, როდესაც მის ირგვლივ ყველა შენობა დაინგრა, ტაძარი გადარჩა“, — აღნიშნულია უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. ცოტა ხნის წინ, ოკუპანტებმა, დონეცკის ოლქში, სვიატოგორის ლავრაზეც მიიტანეს საჰაერო იერიში და დაბომბეს შენობები, რომელთაც თავს მოსახლეობა აფარებდა.

კიევი თავდაცვისთვის ემზადება

კიევის მერმა, ვიტალი კლიჩკომ მოქალაქეებს მიმართა და განაცხადა, რომ დედაქალაქი თავდაცვისთვის ემზადება.

კლიჩკოს თქმით, კიევი საომარი მდგომარეობის პირობებში აგრძელებს ცხოვრებას და საგანგებო ვითარების შემთხვევაში, მოქალაქეების უსაფრთხოების, ასევე ქალაქის ფუნქციონირების შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

„ჩვენ ვიზიდავთ დახმარებას, ვქმნით პროდუქტებისა და საქონლის აუცილებელ რეზერვს. ჩვენ ვაგროვებთ თანხებს ტერიტორიული თავდაცვისა და ჩვენი დამცველების აღჭურვილობის შესაძენად. მუშაობს ყველა კომუნალური სამსახური. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც დღეს გვეხმარება — თითოეულს თავისი შრომითა და ძალისხმევით. მადლობა ჩვენს მამაც მცველებს! მადლობა მოხალისეებს! ერთად დავდგეთ! დიდება უკრაინას“, — განაცხადა კლიჩკომ.

თვითმფრინავების მწარმოებელი ქარხანა „ანტონოვი“ დაიბომბა

უკრაინული მედიის ინფორმაციით, კიევში, სარაკეტო თავდასხმის შედეგად, თვითმფრინავების მწარმოებელი ქარხანა „ანტონოვი“ დაიბომბა. გავრცელებული ინფორმაციით, ქარხანასთან სამი რაკეტა ჩამოვარდა, რის შემდეგაც შენობაში ხანძარი გაჩნდა. ადგილზე სამაშველო ჯგუფები საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ. შენობიდან ადამიანების ევაკუაცია განხორციელდა.

2.7 მილიონი ლტოლვილი

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ცნობით, 13 მარტის მონაცემებით, უკრაინიდან ლტოლვილთა რაოდენობამ 2 698 280-ს მიაღწია. გავრცელებული ინფორმაციით, ყველაზე მეტი ლტოლვილი პოლონეთმა მიიღო.

რუსეთის აგრესიის დაწყებიდან პოლონეთის საზღვარი 1 655 503-მა ადამიანმა გადაკვეთა. 12 მარტის მონაცემებით, უნგრეთმა 246 206, სლოვაკეთმა კი — 195 980 ლტოლვილი მიიღო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2308; ევრო - 3.5487;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2278;
100 რუბლი - 2.4885; თურქული ლირა - 0.2158;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9054;
1000 სომხური დრამი - 6.2326.

ამინდი 15 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-6,	დღე	+7
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+4
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+7
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+4
თბილისი:	ღამე	-2,	დღე	+6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge